ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 აგვისტო სამშაბათი 2015
№ 160 (14 637) ფასი 1 ლარი

დაუვიწყარი წუთი:
18 აგვისტოს ათენში...

11

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური

ფრანგები კანკავას კანკანით დახვდნენ

ქართველის დაფასება: მეფური მიღება და გაცილება

2

რუბრიკის პრემიერა

მაიკ ტაისონის დაუჯერებლად გულწრფელი, ბრუტალური და დრამატული ავტობიოგრაფია

დღეიდან ლელო ახალ რუბრიკას იწყებს



9

ბარსელონა VS ბილბაო 1:1

7

ბილბაო: სუპერთასი 2-ედ, ტიტული 33-ედ

ნატრანსფერევს...

როგორ გააცილეს და როგორ მიიღეს...

დნიპროს ფანები კანკავას: ჩვენ შენ გვიყვარხარ!

ასე დახვდნენ ჯაბა კანკავას რემსში...

...ასე გააცილეს დნიპროდან

ჯაბა კანკავა რომ საფრანგეთში გადავიდა და იქაური ლიგა 1-ის (უმაღლესი დივიზიონი) ბინადარ „რეიმსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, მკითხველმა უკვე იცის.

„ჯვაროსნების" 29 წლის კაპიტანი საფრანგეთში 13 აგვიტოს ჩაფრინდა, თავისი ახალი გუნდისა და „მარსელის" შეხვედრას (1:0 „რეიმსის" სასარგებლოდ) საპატიო სტუმართა ლოჟაში კლუბის პრეზიდენტ **ჟან-პიერ კეოსთან** ერთად ადევნა თვალი. თამაშის დაწყებამდე კი „რეიმსმა" კანკავას პრეზენტაცია მოუწყო (იხილეთ ფოტო), ბანერზე ქართული შინაარსის წარწერით - Mobrdzandit_Jaba4.

ჯაბა როგორ თბილადაც მიიღეს „რეიმსში", ისევე თბილად და სიყვარულით გააცილეს დნეპროპეტროვსკელმა გულშემატკივრებმა. მათ გაავრცელეს მოზაიკური ფოტო, რომელზეც ეს წინადადება იკითხება: *„წარმატებები ახალ კლუბში! მადლობა „დნიპროში" გატარებული წლებისთვის. ჩვენ შენ გვიყვარხარ!"*

დამეთანხმებით, ასეთი პატივი ძველ კლუბში ბევრ ჩვენიანს არ ჰქონია და საამაყოა, რომ კანკავამ უკრაინაში ასეთი კვალი დატოვა. კანკავას ავტორიტეტი ჩვენს მეგობარ ქვეყანაში გზას კიდევ ბევრ ქართველ ფეხბურთელს გაუკვალავს.

მერაბ მამულაშვილი

სავარაუდო ტრანსფერი

ლაშა დვალი (მარცხნივ) მესუთ იოზილის წინააღმდეგ

დვალი ახალ გუნდს ელის

თურქულ „ქასიმფაშაში" აღარ არის საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი **ლაშა დვალი**. 20 წლის ფეხბურთელი ამ გუნდიდან სეზონის დასრულებისთანავე წამოვიდა და, როგორც გვითხრა, ახალ გუნდში გადასვლას იმედოვნებს.

„კლუბში გენერალური დირექტორიც შეიცვალა და მწვრთნელიც. ახლებმა კი გადაწყვიტეს, რამდენიმე ფეხბურთელი გაეშვათ და თავიანთი მოთამაშეები მოეყვანათ. გაშვებულებში მეც მოვხვდი. არადა, შოთას წასვლის შემდეგ თითქმის ყველა თამაში ვითამაშე. ამავე დროს, მადლობელი ვარ შოთასი, ნდობა რომ გამომიცხადა. იმედია, მომავალში ჩვენი გზები კიდევ გადაიკვეთება, იმიტომ, რომ ჩემი პროგრესის მჯერა და ამისთვის ყოველდღიურად ვშრომობ", - ამბობს დვალი.

ახალგაზრდა მცველს ისევ ევროპაში წასვლის იმედი აქვს:

„ახლა აგენტი არ მყავს და ნებისმიერი იმ ადამიანის წინადადებას განვიხილავ, რომელიც საინტერესო იქნება. სატრანსფერო „ფანჯარა" 1 სექტემბერს იხურება და იმედია, მანამდე ახალ გუნდში ჩავირიცხები. რამდენიმე გუნდი დაინტერესებულია. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ „რედინგთან", რომელსაც ჩემი ტრანსფერი ეკუთვნის, კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება. ინგლისელებს ჩემი იჯარა აღარ აწყობთ და გაყიდვა სურთ. დაინტერესებული კლუბები კი ამაზე ფეხს ითრევენ და მოლაპარაკებას აგრძელებენ. მოკლედ, იჯარით წასვლის შანსი ნაკლებია, მაგრამ არც ამის იმედს ვკარგავ და არც გამოსყიდვას გამოვრიცხავ".

დვალს დაინტერესებულ გუნდებზეც ვკითხეთ:

„ჯერ ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ მოლაპარაკება მიმდინარეობს ჩეხეთის, დანიისა და მეორე ბუნდესლიგის გუნდებთან. ახლა მთავარია, „რედინგიდან" კონტრაქტი გამოისყიდონ. ლაპარაკია დაახლოებით 300 ათას დოლარზე".

ეროვნული ნაკრების მოთამაშე ახლა თბილისშია:

„ინდივიდუალური პროგრამით ვვარჯიშობ. ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ შემოდგომა და, მასთან ერთად, სანაკრებო შეხვედრების დრო მოდის, მე კი უგუნდოდ ვარ და შეკრება არ გამივლია. ცხადია, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა მაქვს. თუმცა მთელ სულს და გულს ჩავდებ იქ, სადაც საქართველოს სახელი იქნება ნახსენები. მადლობა კახა კაჭარავას, რომელმაც „ცხინვალში" მავარჯიშა და ფორმის შენარჩუნების შანსი მომცა. მაგრამ ახლა გუნდში ჩარიცხვამდე ისევ ინდივიდუალურად მოვემზადები".

მერაბ მამულაშვილი

დებიუტანტი

გურამ გოშთელიანი
ეს არც მე მარგებს და არც გუნდს!..
საბურთალოს ფორვარდი ეიფორიაში არ არის

გურამ გოშთელიანი
ფოტო სკ ცხინვალის ფეისბუქის ოფიციალური გვერდიდან

საქართველოს XXVII ჩემპიონატის პირველივე ტურში „საბურთალომ" 3 ქულა მოიპოვა. **გია ჭიაბრიშვილის** განვრთნილებმა „ცხინვალს" 2:1 აჯობეს და უმაღლეს ლიგაში დებიუტი წარმატებით აღნიშნეს.

„ლელომ" კომენტარი გუნდის ფორვარდ **გურამ გოშთელიანს** სთხოვა. სწორედ მან გაიტანა პირველი ბურთი მეტოქის კარში და დიდი როლი ითამაშა გამარჯვების გოლშიც - მეკარესთან პირისპირ დატოვა **გიორგი ხარაიშვილი,** რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

გოშთელიანი **ვასილ მაისურაძის** 19-წლამდელთა ნაკრების წვერია და კარგია, რომ ამ 18 წლის ნიჭიერმა ახალგაზრდამ უმაღლეს ლიგაში ასეთი რიხით შეაბიჯა.

„პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, რადგან დებიუტი იყო და, რა დასამალია, ვნერვიულობდით. მაგრამ მეორე ტაიმში გავიხსენით და მივხვდით, რომ ასეთი გამოცდილი გუნდის დამარცხებაც შეგვეძლო. მთავარი ისაა, რომ კარგი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ და ბიჭები ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობთ. ამიტომაა, 90 წუთის განმავლობაში სირბილი რომ შევძელით. „ცხინვალი" ამის ხარჯზეც დავამარცხეთ და სწორი თამაშითაც. მიხარია, უმაღლეს ლიგაში პირველივე შეხვედრაში გოლი რომ გავიტანე და მეორეშიც მონაწილეობა მივიღე. მაგრამ მთელი ჩემპიონატი წინაა და მე რომ მხოლოდ ამაზე ვიფიქრო და კმაყოფილი დავრჩე, არც თავად მარგებს და არც გუნდს", - ამბობს გოშთელიანი.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს თასი

1/16 ფინალი. პირველი მატჩები

საბურთალო-ვიტ ჯორჯია	**0:2**
ჩიხურა-მერცხალი	**1:0**
ლიახვი (ცხ)-ლოკომოტივი	**1:0**

დღეს

კოლხეთი (ფ)-მეშახტე
ფოთი. ფაზისი. 17:00

მერანი-ჭიათურა
მარტვილი. მურთაზ ხურცილავა. 17:00

ჩხერიმელა-ტორპედო
ხარაგაული. სოსო აბაშიძე. 17:00

სამტრედია-მაჭახელა
სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 17:00

სიონი-რუსთავი
ბოლნისი. თამაზ სტეფანია. 17:00

გურია-სამეგრელო
ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 17:00

ბეთლემი-ჭუქურა
ქედა. ცენტრალური. 17:00

კოლხეთი (ხ)-საპოვნელა
ხობი. ცენტრალური. 17:00

ზუგდიდი-იმერეთი
ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა. 17:00

საპასუხო მატჩები გაიმართება 25-26 აგვისტოს

პაპანაქებას ბევრი გოლი უხდება

ესეც ასე: ხუთშაბათისა და პარასკევის მატჩებით საქართველოს XXVII ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო! წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ სასტარტო ტურში რაიმე განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა.

თუმცა, ჩემპიონატის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ ამ სეზონში თითქმის ყოველ ტურში უნდა ველოდოთ, სულ მცირე, ერთ-ორ მეტ-ნაკლებად არაპროგნოზირებად შედეგს. ამის დასტურად პირველი ტურიც გამოდგება, როცა ბევრისთვის მოულოდნელად შედეგიანობაც (23 გოლი) მაღალი იყო და რვა შეხვედრიდან სამი მატჩის შედეგიც, მთლად სენსაციურად თუ არა, გარკვეულწილად მოულოდნელობადაც შეიძლება შეფასდეს.

მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შესაშური შედეგიანობა იყო, მით უფრო იმის გათვალისწინებით, თუ რა კლიმატურ პირობებში უხდებოდათ ჩვენს ფეხბურთელებს ჩემპიონატის საწყის ტურში მეტოქეებთან და აუტანელ სიცხესთან გამკლავება!

და კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორიც - ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ტური ჩატარდა, მაგრამ მაინც მეტისმეტად ულამაზოდ მოჩანდა თითქმის ყველა მატჩის, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარება...

თუმცა, მოდით, ეს ყველაფერი აგვისტოს პაპანაქებას დავაბრალოთ და შესავლისთვის ესღა ვთქვათ - საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე პირველი ტურის სამ მატჩს დაესწრო: „ცხინვალი“-“საბურთალოს“ (ხუთშაბათს), „დილა“ - “კოლხეთს“ და „დინამო“-“საპოვნელას“ (ორივე - პარასკევს). ამ სამივე მატჩში საქართველოს ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ და პოტენციური კანდიდატებიც...

პირველი: გოლი, დუბლი, ჰეთ თრიკი...

XXVII ჩემპიონატი ხუთშაბათს 2 მატჩით, ერთსა იმავე დროს დაიწყო; პირველი გოლი კი თბილისურ შეხვედრაში გავიდა: „ცხინვალი“-“საბურთალოს“ მატჩის პირველი ტაიმი მთავრდებოდა, როცა მასპინძელთა 21 წლის შემტევმა **რატი ცაცკრიალაშვილმა** ამ შეხვედრის და, საერთოდ, ახალი სეზონის პირველი გოლი გაიტანა!

...ტურის მეორე დღე კი მოვლენებით უფრო „დახუნძლული“ აღმოჩნდა: გაცუდებულ პენალტებსა თუ გაძევებებზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი ის ფეხბურთელები გვინდა გამოვარჩიოთ, მშვენიერი შედეგიანობა რომ უჩვენეს.

უპირველეს ყოვლისა, ბათუმის „დინამოს“ 28 წლის ცენტრფორვარდი **გიორგი ბერიაშვილი** უნდა ვახსენოთ, რომელმაც პირველსავე ტურში შეძლო ჰეთ თრიკის შესრულება! აღსანიშნავია, რომ ამ გამოცდილ თავდამსხმელს საქართველოს ჩემპპიონატში სადაც („ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“, „ტორპედო“, „დილა“) კი უთამაშია, იმ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირიც ყოფილა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ერთ მატჩში 3 გოლი აქამდე არასდროს ჰქონდა გატანილი.

ბერიაშვილს „ოდნავ“ ჩამორჩნენ“ **ირაკლი სიხარულიძე** და **ჯაბა ჯიღაური,** რომლებმაც „დუბლი“ შეასრულეს. „სამტრედიას“ 25 წლის ცენტრფორვარდმა სიხარულიძემ თავის ახალ გუნდში პირველსავე მატჩში გამოიჩინა თავი და მისმა წყვილმა გოლმა შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა.

თბილისის „დინამო“, „მეტალურგი“, ბათუმის „დინამო“, „ზესტაფონი“ - სიხარულიძეს სადაც კი უთამაშია, დუბლი ყველგან შეუსრულებია და ახლა ამ გუნდთა რიცხვს „სამტრედიაც“ შეემატა. აი, რაც შეეხება 23 წლის ჯაბა ჯიღაურს, თბილისის „დინამოს“ უნივერსალმა ნახევარმცველმა უმაღლეს ლიგაში პირველი „დუბლი“ შეასრულა.

გოლები ახალი გუნდის მაისურით...

ირაკლი სიხარულიძის გარდა, სასტარტო ტურში სხვა ფეხბურთელებმაც შეძლეს ახალ გუნდში პირველივე მატჩში თავის გამოჩენა; 25 წლის **გიორგი გაბედავამ**, 23 წლის **ლუის ალბერტო მედინამ** (ორივე - ბათუმის „დინამო“), 34 წლის **დავით ოდიკაძემ** („ტორპედო“), 31 წლის **დიმიტრი ტატანაშვილმა** („სიონი“), 24 წლის **გიორგი ჭანკოტაძემ** („ჩიხურა“), 23 წლის **ლაშა ჩაფიძემ** („გურია“), 31 წლის **ოთარ მარცვალაძემ,** 29 წლის **გიორგი ნავალოვსკიმ** (ორივე - „დილა“).

ეს, რაც შეეხება გოლებს, თორემ ჩვენ რომ ახლა ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, ახალ გუნდში პირველი მატჩები ვინც ჩაატარეს, ძალიან გრძელი სია გამოვა!

ეგ კი არა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა გუნდის ძირითადში ახალწეულები თამაშობდნენ. თუმცა, ეს ხომ ქართული საკლუბო ფეხბურთისათვის ჩვეულებრივი ამბავია და უკვე ის გვიკვირს, თუ როგორ შეძლო ბათუმის „დინამომ“ წინა სეზონის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება...

სადებიუტო მატჩები, სადებიუტო გოლები...

თბილისის „საბურთალოს“ უმაღლეს ლიგაში მართლაც მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა: უმაღლესი ლიგის (18), **გურამ გოშთელიანმა** (18).

ამათგან ორმა, ხარაიშვილმა და გოშთელიანმა, სულაც გოლებით აღნიშნეს უმაღლეს ლიგაში დებიუტი. ამათ გარდა, უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდათ: 20 წლის **ოთარ კუსიანს** („ჩიხურა“); ლოკომოტიველებს - **ბაჩო მიქავას** (21), **რატი არდაზიშვილს** (17), **გიორგი ღვინაშვილს** (18), **დავით სამურკასოვს** (17); **გოჩა კვარაცხელიას** (19, „კოლხეთი“), **ლევან წოწონავას** (18, „მერანი“), **გიორგი ქანთარიას** (18, „ზუგდიდი“), **ნიკა კვანტალიანს** (17, ბათუმის „დინამო“) და, რა თქმა უნდა, თერჯოლის „საპოვნელას“ ფეხბურთელთა თითქმის 90 პროცენტს.

და ბოლოს, კიდევ ერთ ჭაბუკ ფეხბურთელზე, ლომის წვლილი რომ შეეტანა თავის გუნდის გამარჯვებაში: ბათუმის „დინამოს“ 18 წლის მარცხენა გარემარბმა **ბექა ჭკუასელმა** ორი საგოლე გადაცემა გააკეთა, პენალტიც „მოინადირა“ და, საერთოდაც, ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ მოედანზე.

სამწვრთნელო თემა

ფეხბურთელთა გარდა, რამდენიმე მწვრთნელსაც ჰქონდა უმაღლეს ლიგაში დებიუტი: **ვასილ მაისურაძეს** („ლოკომოტივი“), **მირიან გეწაძეს** („საპოვნელას“). ამათ გარდა, ზოგი მწვრთნელი უმაღლეს ლიგას გარკვეული პაუზის მერე დაბრუნდა და წარმატებითაც - **გია ცეცაძე** („სამტრედია“) თითქმის 4 წლის შემდეგ, ხოლო **გიორგი ჭიაბრიშვილი** („საბურთალო“) 3 წლის შემდეგ.

წინა სეზონისგან განსხვავებით, სხვა გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში მოგვევლინნენ **კახა გოგიჩაიშვილი** („გურია“) და **ვარლამ კილასონია** („სიონი“). სხვათა შორის, სწორედ ამ გუნდებს შორის ჩატარებულ მატჩში დაფიქსირდა პირველი ტურის ერთადერთი ფრე.



დინამო-საპოვნელა. კარისკენ ურტყამს დუბლის ავტორი ჯაბა ჯიღაური
ფოტო სკ დინამო თბილისის ფეისბუქის ოფიციალური გვერდიდან

უიღბლონი...

უცნაურობა „დაებედა“ ამ ზაფხულიდან თბილისის „დინამოს“: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა სამი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და სამივე... კაცნაკლულმა ჩაამთავრა! შეგახსენებთ, რომ ევროპალიგაზე აზერბაიჯანულ „გაბალასთან“ გამართულ პირველ შეხვედრაში დინამოელებს **გიორგი გველესიანი** გაუძევეს, მეორეში კი - **ლაშა თოთაძე.**

ახლა კი, „საპოვნელასთან“ სასტარტო ტურში, დინამოელთა ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა, 23 წლის **რენე ფერეირამ** სრულიად უწყინარ სინელას“ 24 წლის მცველი **ზურაბ ენდელაძე** უმაღლეს ლიგაში ოთხწლიანი პაუზის მერე დაბრუნდა და თბილისის „დინამოსთან“ მატჩში, თავისდა უნებურად, კურიოზული ავტოგოლი მიითვალა.

ამ შეხვედრაში მასპინძლები ისედაც უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდნენ და სტუმართა ფეხბურთელის საკუთარ კარში გატანილ გოლს მატჩის საბოლოო შედეგზე იმდენად არ უმოქმედია, როგორც სხვა შემთხვევაში მოხდა...

„სამტრედია“-“შუქურას“ მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს, როცა ანგარიში 0:0 იყო, სტუმართა „შტატიანმა“ პენალტისტმა“ **გიორგი ჩელებაძემ** 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, შესვენებაზე ორჯერ „დასტყუა“ ყვითელი ბარათი არბიტრს და თავისი გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა.

ასევე ორი ყვითელი ბარათის მიღების გამო გააძევეს ფოთის „კოლხეთის“ 24 წლის მარცხენაფლანგელი **გიორგი ლემონჯავა**, ხოლო „ცხინვალის“ ემოციურ თავკაცს **კახა კაჭარავას** „საბურთალოსთან“ მატჩის მიწურულს არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა...

პირველი ტური უიღბლო გამოდგა კიდევ ორი ფეხბურთელისათვის; „საპოვნელას“ - უმაღლეს ლიგაში 20-წლიანი პაუზის მერე დაბრუნებული გუნდი დიდი ანგარიშით კი დამარცხდა, მაგრამ რამდენჯერმე გვარიანად ანერვიულა ფავორიტი მეტოქე: **სანდრო შუღლაძის** სახიფათო დარტყმა **ლიბორ ჰრდლიჩკამ** მოიგერია, **გიორგი ბუხაიძემ** კი ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო მეორე ტაიმში გოლიც გაიტანა, ოღონდ, არ ჩაუთვალეს...

ხმაურიანი დაბრუნებები

31 წლის **ოთარ მარცვალაძემ** საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ბოლოს შარშან, მაისში ითამაშა, როცა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა; ახლა კი „დილას“ შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ჩემპიონატის მატჩში და შეცვლაზე შემოსულმა გოლიც გაიტანა.

ასევე შეცვლაზე შესულმა შეძლო თავის გამოჩენა „ტორპედოში“ წელიწადნახევრის მერე დაბრუნებულმა 23 წლის **თორნიკე კაპანაძემ**. უფრო კი არა, ბევრად ხანგრძლივი პაუზის მერე დაუბრუნდა თავის მშობლიურ გუნდს თბილისის „დინამოს“ ქართული ფეხბურთის მართლაც დამსახურებული ვეტერანი, 37 წლის **ალექსანდრე იაშვილი**!

ჰოდა, დაბრუნებაც ასეთი უნდა - „იაშკა“ გუნდის კაპიტნადაც მოგვევლინა, ოსტატური გოლიც გაიტანა და თითქმის ყველა საგოლე ეპიზოდშიც (მარჯვენა მცველის, **ოთარ კაკაბაძის** მსგავად) მიიღო მონაწილეობა.

...საქართველოს ნაკრების ენერგიული მარცხენაფლანგელი, 29 წლის **გიორგი ნავალოვსკი** საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის რვაწლიანი პაუზის მერე დაბრუნდა, გორის „დილას“ შემადგენლობაში სადებიუტო შეხვედრაც ჩაატარა და გოლიც გაიტანა! აღსანიშნავია, რომ ეს იყო ნავალოვსკის პირველი გოლი საქართველოს ჩემპიონატებში...

დუბლების ჩემპიონატი

I ტური

ცხინვალი-საბურთალო	**3:5**
ჩიხურა-ლოკომოტივი	**1:3**
ტორპედო-მერანი	**0:1**
დინამო (თბ)-საპოვნელა	**6:1**
დინამო (ბთ)-ზუგდიდი	**2:4**
დილა-კოლხეთი	**2:0**
გურია-სიონი	**1:1**
სამტრედია-შუქურა	**1:2**

გია ტუხაშვილი

ვოლემიკა

არ გვეხმარებიანო, რომ ამბობენ, ციფრებს გადახედონ!..

მარტვილის გამგებელს მერანის დირექტორის უკვირს

ალეკო გრიგალავა

მარტვილის გამგებელი **ალეკო გრიგალავა** „მერანის“ დირექტორის, **ელდარ ბაკურიას** ინტერვიუს გამოეხმაურა, რომელშიც ეს უკანასკნელი გამგეობას პრეტენზიად გუნდისადმი უყურადღებობას უყენებდა.

„კლუბის დირექტორის ინტერვიუმ გამაოცა, რადგან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მაგრამ საქმეს პიროვნულ ჭრილში არ გადავიყვან. აშკარაა, ჩვენ სხვადასხვა ხედვა გვაქვს და მიმაჩნია, რომ უფრო სწორ და გამართლებულ გზას ვადგავართ, გამგეობა კი იმ საქმეს აკეთებს, რაც „მერანს“ წაადგება. ამაში გადაჭარბებული არაფერია. „ლელოსთან“ ინტერვიუშიც ვილაპარაკე - სახელმწიფო ფეხბურთის განვითარების პროგრამის განხორციელებას აპირებს და მისი ძირითადი არსი ისაა, რომ კლუბში კერძო მეპატრონე მოვიზიდოთ, ბიუჯეტი კი ბავშვთა ფეხბურთსა და ინფრასტრუქტურას დაეხმაროს. ვერ ვხვდები, კერძო კლუბის წარმომადგენელი ამის წინააღმდეგი რატომ არის? მე ასე მჯერა - ერთჯერადი დახმარებებითა და ფეხბურთელებზე გაცემული ხელფასებით ქართულ ფეხბურთს ვერ ვუმკურნალებთ. რომ იტყვიან, სპორტში მაქვს ჭიპი მოჭრილი და ვითარებამ კარგად გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ კლუბის დაფინანსებამ და სხვა პრობლემების დავიწყებამ რა კატასტროფამდეც მიგვიყვანა. ფიფას რეიტინგში 154-ე ადგილზე დავეშვით. ჩვენს იქით მხოლოდ მთვარე და მარსია“, - ამბობს გრიგალავა.

...ფეხბურთის, რაიონისა და ქვეყნის სიყვარულში მე ვერავინ შემეცილება. ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილი ეროვნული ნაკრების წევრია და მე არ მინდა ფეხბურთი?!.

მარტვილის გამგებელი „ფეხბურთისადმი გულგრილობის“ პრეტენზიას პასუხობს: *„რაიონის ბიუჯეტი 6 მილიონი ლარია და მხოლოდ ფეხბურთს ვერ დავაფინანსებთ. მაგრამ მარტვილში ფეხბურთს არ პატრონობთო, ამ პრეტენზიას ვერ მივიღებ. ყოფილი მორაგბე ვარ, ქუთაისის „აიაში“ 3-ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი და რაგბს სულ 5 ათას ლარს ვურიცხავთ. ფეხბურთზე კი გაცილებით მეტი გამოიყო - ცენტრალური ბიუჯეტიდან, „მერანის“ სტადიონზე 621-ათას ლარად ხელოვნურსაფარიანი მოედანი რომ დაიგო, ამაში მუნიციპალიტეტი ჩარეული არ იყო? 191 ათასი ლარი ბავშთა სკოლისთვის რაიონმა გამოყო. ფეხბურთის, რაიონისა და ქვეყნის სიყვარულში მე ვერავინ შემეცილება. ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილი ეროვნული ნაკრების წევრია (ბატონი ალეკო საქართველოს ნაკრების მცველის გია გრიგალავას მამაა - ავტ) და მე არ მინდა ფეხბურთი“?!*

გრიგალავა ცდილობს, „მერანთან“ დაპირისპირების ბრალდება აიცილოს: „უდიდესი მადლობა ფრიდონ ინჯიას, კლუბს რომ ინახავს. „მერანი“ უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფეხბურთს თამაშობს... მაგრამ როგორ უნდა განვითარდეს გუნდი, თუ არ ექნება კარგი მოედანი, ინფრასტრუქტურა და მომავალ თაობებს არ გაუზრდიან? ფული სულ გუნდზე რომ დავხარჯოთ, მაშინ სწორედ ასე გამოვა და საკუთარი ბავშვების ნაცვლად, ჩამოსულებზე დაყრდნობა დაგვჭირდება. ითხოვენ, სკოლა ჩვენ გადმოგვეცითო. საფეხბურთო სკოლა თუ უნდათ, ააშენონ, ვინმე უშლით? რომ ამბობენ, „მერანში“ ფეხბურთელები დუბლშემადგენლობიდან და ჭაბუკთა ლიგიდან დავაწინაურეთო, ეს ბავშვები სად გაიზარდნენ? 12 ასაკობრივი გუნდი რომ არსებობს, მწვრთნელებს ჩვენ ვუხდით ფულს, მგ ზავრობას კი ფედერაცია აფინანსებს. სკოლებისა და სოფლების ჩემპიონატებს ვატარებთ და უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდს შეშურდება, თამაშებზე იმდენი ხალხი დადის. მასობრიობა ფეხბურთის ხელშეწყობა თუ არ არის, მაშინ არ მცოდნია არაფერი! წარსულს მისტირიან - „მერანს“ წინა გამგეობა ეხმარებოდა, დღევანდელი კი - არაო. ციფრებს გადახედონ და მიხვდებიან, რომ ნამდვილად არ არის ასე. ეს იმ მიზეზებს მაგონებს, ბიძინა ივანიშვილმა ფეხბურთზე გული რომ აიცრუა და რაგბს აფინანსებს. სკოლა და ფული მოგვეცი, ჩვენ მივხედავთო. მეც ვიცი, გენაცვალე, სპორტს როგორ მივხედო, სწორ გზაზე ვდგავარ და არ გადავუხვევ. უბრალოდ, არ მინდა დავიჯერო, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი დასდევს და მოახლოებული არჩევნებით არის გამოწვეული“.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონი გუშინ...

არშემდგარი დებიუტი

გუშინ რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა. ბელარუსის უმაღლეს ლიგაში ზედიზედ მესამედ დამარცხდა (1:2 „ჟოდინოსთან“, საკუთარ მოედანზე) მოზირის „სლავია“, სადაც ორი ჩვენებური ირიცხება - ნახევარმცველი **იაკობ აფხაზავა** და შემტევი **დავით ჩიგოევი**. სხვათა შორის, 36-ე წუთზე აფხაზავა სწორედ ჩიგოევმა შეცვალა, ხოლო რამდენიმე წუთით ადრე აფხაზავამ ყვითელი ბარათიც მიიღო.

ესტონეთის მეისტრილიგაში „ფლორამ“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ტულევიკს“ შინ 4:1 მოუგო. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი გაატარა მინდორზე ჩვენებურმა შემტევმა **ზაქარია ბეგლარიშვილმა**, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხა.

რუსეთის პრემიერლიგაში ტურის მორჩენილი მატჩი გაიმართა - ქართველების „მორდოვია“ საკუთარ მოედანზე „უფასთან“ დამარცხდა - 0:1. სამწუხაროდ, მასპინძელთა მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** კარის „მშრალად“ შენახვა ვერ შეძლო. ერთადერთი გოლი 82-ე წუთზე გავიდა - სტუმარი გუნდის ფეხბურთელმა ფლანგურ პასს მეკარის საჯარიმოს ხაზიდან მძლავრი თავური დასცხო. საქართველოს ნაკრების მეკარემ championat.com-სგან საკმაოდ დაბალი შეფასება - 5,5 ბალი მიიღო.

რაც შეეხება მეორე ქართველს, მცველ **მამუკა კობახიძეს**, ის თამაშის ბოლომდე თადარიგში დარჩა.

მორიგი ტურის მატჩები გაიმართა რუსეთის I დივიზიონში, სადაც ქართველების საკმაოდ წარმომადგენლობითი ჯგუფია. მაგალითად, **კახა ალადაშვილის** „სკა ენერგიამ“ შავი დღე აყარა „კამაზს“ - 4:0. ეს ხაბაროვსკელთა პირველი გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში. ქართველმა მარჯვენა მცველად 67-ე წუთამდე ითამაშა, რის შემდეგაც შეცვალეს (უკვე 3:0-ზე). სხვათა შორის, „სკა ენერგიას“ თავდასხმაში პირველი ტაიმი ითამაშა 19 წლის **ლაშა იმედაშვილმა**, რომელიც რუსეთის მოქალაქეა.

სამმა ქართველმა ითამაშა „არმავირში“, რომელიც „ტომთან“ საგარეო მატჩში შერცხვა - 0:4. ორი ყვითელი ბარათის გამო 76-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს საყრდენი ნახევარმცველი **ირაკლი ჭეჟია.** ძირითად შემადგენლობაში იყო მარცხენა შუახაზელი **დავით ხურციძეც**, ხოლო შემტევი **ირაკლი გეფერიძე** 68-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში. რაც შეეხება კიდევ ერთ შემტევ **ზამირ ჯანაშიას**, ის საერთოდ არ გამოჩენილა. დებიუტანტ „არმავირს“ 7 ტურის შემდეგ 5 ფრე და 2 მარცხი აქვს.

თურქეთის სუპერლიგაში ველოდებოდით **ნიკა ძალამიძის** დებიუტს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ახლახან გადავიდა „რიზესფორში“, რომელიც პირველ ტურში სტუმრად „გენჩლერბირლიგის“ შეხვდა და დრამატულ ბრძოლაში 3:2 მოუგო. სამწუხაროდ, არ შედგა ძალამიძის დებიუტი - მან მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

გიორგი გელაშვილი

ინციდენტი

ჩემთვის უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არსებობს?!

ჩაწყობილ თამაშებში ბრალდებული გენძეხაძე სტადიონიდან გააძევეს

ნმაისს,შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, თამაშების ჩაწყობის ბრალდებით, 8 პირი დააკავეს, მათ შორის, ერთ-ერთი **დავით გენძეხაძე** გახლდათ.

დავით გენძეხაძე

საჩხერის „ჩიხურას“ ყოფილ სელექციონერს ბრალად სპორტული შეჯიბრებების მონაწილეთა მოსყიდვა წაუყენეს. გამოძიება გენძეხაძეს ორგანიზებული ჯგუფის მიერ პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვას ედავებოდა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მაგრამ სასამართლომ გენძეხაძე და ყველა სხვა ბრალდებული გირაოთი გაათავისუფლა. გენძეხაძე კი დანაშაულს არ აღიარებს. როგორც მან განაცხადა, თამაშის ჩაწყობის განზრახვა არ ჰქონია. ამის მიუხედავად, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, მას სტადიონის ტერიტორიაზე ყოფნაც კი ეკრძალება.

გუშინ გენძეხაძეს ამის გამო უსიამოვნება შეემთხვა. ის გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მატჩზე დასასწრებად გაემგზავრა - ცხინვალის „ლიახვი“ თბილისის „ლოკომოტივს“ მასპინძლობდა. მაგრამ მატჩის დირექტორმა **გია ისიანმა** და სტადიონის დირექციის წარმომადგენელმა გენძეხაძეს ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. ის ჯერ გაძალიანდა და სტადიონის დატოვებაზე უარი განაცხადა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც იძულებული გახდა, მოთხოვნას დაჰყოლოდა.

„რაც მოხდა, ცუდი ფაქტია. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, რომ აღმასკომმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. დაკავებისა და გამოშვების შემდეგ ისეთი აღელვებული ვიყავი, ეტყობა, ეს ამბავი გამომრჩა. ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი გია ისიანი რომ მოვიდა და მთხოვა, სტადიონი დამეტოვებინა, სხვაგვარად, თამაშს ვერ დავიწყებთო, მეგონა, გამეხუმრა. მერე კი მივხვდი, რომ სერიოზულად მითხრეს. ისტერიკას ხომ არ გავმართავდი, წამოვედი. მაგრად კი დამწყდა გული“, - ამბობს გენძეხაძე.

ის მისი უფლებების დარღვევაზეც ლაპარაკობს:

„სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და გაირკვევა, დამნაშავე ვარ თუ არა. მე ისიანზე არ ვარ გაბრაზებული. მაგრამ ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ჩემი სტადიონზე არდაშვების შესახებ, ნეტა იმათ ჭკუაში ჩამახედა. ფეხბურთში მაგათი წონა ოფლი მაქვს დაღვრილი. გუნდები, რომლებთანაც ვთანამშრომლობდი, სულ ევროპის ლიგაზე გადიოდნენ. იგივე მოხდა პატარა აზერბაიჯანული ქალაქის, ზაქათალის გუნდის, „სიმურგის“ შემთხვევაშიც. ჩემი ცხოვრება ფეხბურთია და მის ყურებას ტელევიზორშიც ხომ ვერ ამიკრძალავენ? მაგრამ ჯერ სასამართლო არ გამართულა და მაინტერესებს, უდანაშაულობის პრეზუმფცია ჩემთვის არ არსებობს, ეგრეევ კრიმინალის სტატუსი რომ მომაკერეს? სასამართლო მალე შედგება და დარწმუნებული ვარ, გამამართლებენ და ჩაწყობილი თამაშების ორგანიზატორის სტატუსს მომიხსნიან. საერთოდ, დარწმუნებული ვარ, დრო გავა და ყველა მიხვდება, რომ ასეთ დამოკიდებულებას არ ვიმსახურებდი. ქართული ფეხბურთი თუ მარტო გენძეხაძემ დააქცია, არათუ სტადიონს, ქვეყანასაც დავტოვებ. მაგრამ, ასე რომ არაა, ეს ხომ ყველამ იცის? ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ფიფას რეიტინგში 154-ე ადგილზე საქართველო ჩემ გამო აღმოჩნდა? უბრალოდ, ჩემი დაკავებით სხვა დიდი დანაშაულის გადაფარვა სურდათ და ასეც გააკეთეს“.

მერაბ მამულაშვილი

გურია

ყაზახი ბიზნესმენი ლანჩხუთში

კოჩოროვი ნანახით კმაყოფილი დარჩა

ყაზახი ბიზნესმენი (მარცხნიდან მეორე) და მასპინძლები გრიგოლეთის ბაზაზე

13 აგვისტოს ლანჩხუთის მუნციპალიტეტში სტუმრად იმყოფებოდა ყაზახი ბიზნესმენი **მუხტარ კოჩოროვი**. მიზეზი - „გურიათი“ დაინტერესება იყო. სტუმარი მხარის გუბერნატორ **გია სალუქვაძეს**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელ **ზაზა ურუშაძეს**, საკრებულოს თავმჯდომარე **გოგი ხელაძესა** და „გურიის“ მესვეურებს შეხვდა.

მუხტარ კოჩოროვმა ოჯახთან ერთად მოინახულა გრიგოლეთის ბაზაც, სადაც საქმიანი შეხვედრა გაგრძელდა. როგორც შემდეგ ლანჩხუთის გამგებელმა და, იმავდროულად, „გურიას“ პრეზიდენტმა ზაზა ურუშაძემ განაცხადა, კოჩოროვი ფეხბურთითა და ფეხბურთთან დაკავშირებული ყველა საკითხითაა დაინტერესებული.

„ჩვენ აუცილებლად შევთავაზებთ მას ბიზნესგეგმასა და წინადადებებს. ვნახოთ, იმედია, ბატონი მუხტარი ჩვენთან თანამშრომლობას დათანხმდება“, - ამბობს ურუშაძე.

სტუმარი ნანახით კმაყოფილი დარჩა. „გურიის“ მესვეურებმა მას კლუბის ისტორიაც გააცნეს და იმ დროის შესახებ უამბეს, როცა ლანჩხუთის საფეხბურთო გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია და რაიონის სახელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანა.

მხარეებმა შეხვედრაზე სხვადასხვა ბიზნესსაკითხებიც განიხილეს და ლანჩხუთის განვითარებისთვის საინტერესო თემებზე ისაუბრეს. ყაზახი ბიზნესმენი კმაყოფილი გაემგზავრა და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, თან „გურიას“ პრეზიდენტი საპასუხო ვიზიტით ყაზახეთში მიიწვია.

ცნობისთვის - ზაზა ურუშაძე, ლანჩხუთის გამგებლობამდე, წლების განმავლობაში ყაზახეთში ბიზნესით იყო დაკავებული.

მათე გურული
ლანჩხუთიდან

ერაყელები ქართულ კლუბს დააფინანსებენ?!

დავით მაჩიტიძე

მუნჯიდ შუქრი ალჰეალი

ალენ აიოსი

საინტერესო ამბავია - ახალი სეზონიდან რეგიონული ლიგის ცენტრალურ ზონაში ითამაშებს საფეხბურთო კლუბი „ვარკეთილი", რომელსაც ერაყელი ბიზნესმენები დააფინანსებენ.

დიახ, უცნაურია, მაგრამ ფაქტია. მათ ფეხბურთი უყვართ და სურთ, ამ კლუბის დაფინანსებით ევროპასა და არაბულ ქვეყნებთან კავშირები გააბან.

ერთ-ერთი მათგანია **ალენ აიოსი** - ერაყში მცხოვრები ასირიელი. ის საქართველოში რამდენიმე ხნის წინათ დასახლდა და ქართველ ქალზეც დაქორწინდა. მეორე სპონსორი კი ბაღდადელი ბიზნესმენი **მუნჯიდ შუქრი ალჰეალი** გახლავთ.

„ჩვენი მიზანი მეორედან პირველ ლიგაში, შემდეგ კი უმაღლესში დაწინაურება და ქართული საფეხბურთო პოტენციალის გამოყენებაა. მე ფეხბურთის არა მხოლოდ მოყვარული ვარ, დიდი ხანია, რაც ამ სფეროში ვტრიალებ და ვხედავ, რომ აქ დიდი პოტენციალია. მსურს, ქართველი ფეხბურთელები ევროპასა და არაბულ სამყაროში გავიყვანო. სპორტულ ბიზნესში პარტნიორები მყავს. უფრო მაღალი ლიგის კლუბის აყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ ვარკეთილში არის საფეხბურთო სკოლა, რომელზეც გუნდი მიებმება და ვფიქრობ, კარგი პროექტი განხორციელდება", - ამბობს ალენ აიოსი.

მუნჯიდ შუქრი ალჰეალმა კი სხვა საინტერესო ჩანაფიქრიც გაგვიმხილა:

„ჩვენ ძალიან კარგი კავშირები გვაქვს და გვსურს, საქართველოში არა მხოლოდ კლუბი დავაფინანსოთ, არამედ საერთაშორისო ტურნირებიც მოვაწყოთ, რომელიც ტალანტების გამოფენის როლს ითამაშებს. ფეხბურთელებს სწორედ ამ შანსს ვაძლევთ. ჩვენი მხრიდან, რაც კლუბს დასჭირდება, ყველა პირობას შევუქმნით. აქ არ იქნება - მე პრეზიდენტი ვარ და შენ მოთამაშე - ეს ერთი დიდი ოჯახი უნდა გახდეს. მაგრამ გუნდისგანაც ბოლომდე დახარჯვასა და შედეგს მოვითხოვთ. თუ „ვარკეთილი" კარგად ათამაშდება, ბიუჯეტს გავუზრდით. საქმეს ისეთი პროფესიონალიზმით უნდა შევუდგეთ, თითქოს უმაღლეს ლიგაში ვთამაშობთ. საბოლოო მიზანი ხომ სწორედ ამ დონეზე ასვლაა".

„ვარკეთილს" ახალგაზრდა სპეციალისტი **დავით მაჩიტიძე** გაწვრთნის. მას **გია ჯმუხაძე** დაეხმარება, რომელსაც **გელა სანაიასთან** უმაღლესი ლიგის სხვადასხვა გუნდებში უმუშავია. მეკარეებს კი ეროვნული ნაკრების ყოფილი კარის დარაჯი **აკაკი დევაძე** გაწვრთნის, რომელიც აქამდე ოლიმპიური მომზადების სკოლაში მუშაობდა.

„ვარკეთილის" ყველაზე ცნობილი სახე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „სამტრედიას" ყოფილი ნახევარმცველი **ლაშა ქებაძეა**, რომელიც კლუბს პირობებზე უკვე შეუთანხმდა.

მერაბ მამულაშვილი

მასტერქარდმა 11 ქართველ ბავშვს უნიკალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მისცა - უეფას 2015 წლის სუპერ თასის ფინალურ მატჩზე თბილისში 11 საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად მოედანზე დადგომის შანსი

2015 წლის მაისის ბოლოს მასტერქარდის მიერ საქართველოში დაწყებულ ეროვნულ სარეკლამო კამპანიის შედეგებზე დაყრდნობით, 11 ქართველ ბავშვს წილად ხვდა უნიკალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა - მშობლებთან ერთად 2015 წლის უეფას სუპერ თასის ფინალურ მატჩზე დასწრების და სტადიონზე მისი ყურების შანსი.

თბილისი - 13 აგვისტო, 2015 წ. — მასტერქარდი აცხადებს, რომ 11 ბავშვი საქართველოდან მიიღებს შანსს დაესწროს უეფას სუპერ თასის ფინალურ მატჩს, რომელიც გაიმართება 11 აგვისტოს თბილისში და მათ მიეცემათ შეუფასებელი შესაძლებლობა მოედანზე დადგნენ ორი ესპანური გუნდის: ბარსელონას და სევილიას 11 საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად. ეს ბავშვები შეირჩნენ პირველი 11 იღბლიანი ქართველი 2015 წლის უეფას სუპერ თასზე ეროვნული სარეკლამო კამპანიის შედეგად, რომელიც დაიწყო 2015 წლის 30 მაისს მასტერქარდის მიერ. როგორც უეფას სუპერ თასის საპატიო და ოფიციალური სპონსორი, მასტერქარდი მსგავს კამპანიებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებს, თუმცა ამჯერად ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში მასტერქარდის მფლობელებს მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ მსგავს აქციაში.

სარეკლამო კამპანია მიმდინარეობდა 2015 წლის 30 მაისიდან 15 ივლისამდე ყველა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, სადაც მასტერქარდის მფლობელებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეხადათ პოს-ტერმინალის ან ინტერნეტის მეშვეობით. ყოველი ტრანზაქცია ავტომატურად ხდებოდა ლატარიის ბილეთი, რომელიც აძლევდა ბარათის მფლობელს მატჩის ბილეთის მოგების შეუფასებელ შესაძლებლობას უეფას სუპერ თასის ფინალურ მატჩზე დასასწრებად, მისი ბავშვისთვის კი ეს იყო შანსი, მსოფლიოს ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად მოედანზე გამოსულიყვნენ. ლატარიის შედეგად 27 ივლისს გამოვლინდა 11 იღბლიანი გამარჯვებული, რომელთა შვილებს წილად ხვდათ ბედნიერება გამხდარიყვნენ ფეხბურთელების ესკორტი, რათა მოედანზე მათთან ერთად გამოსულიყვნენ. გამარჯვებულთა პაკეტი შეიცავდა 2 ბილეთს უეფას 2015 წლის სუპერ თასის ფინალურ მატჩზე (1 ბილეთი ბარათის მფლობელისათვის და 1 ბილეთი შვილისათვის) და ბავშვისათვის შეუფასებელ გამოცდილებას - თამაშის გახსნის ღონისძიებაზე გასულიყო მოედანზე საფეხბურთო ვარსკვლავებთან ერთად.

მასტერქარდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომავალი თაობისათვის განკუთვნილ პროექტებს და მათი ინიციატივით მსოფლიოს მასშტაბით უამრავმა ბავშვმა უკვე მიიღო შეუფასებელი გამოცდილება გასულიყო მოედანზე საფეხბურთო ვარსკვლავებთან ერთად, თუმცა, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ ფეხბურთელთა თანმხლები პირები.

მასტერქარდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბაზრის რეგიონალური მენეჯერი, ჰაკან აჯარი აცხადებს: მოხარულები ვართ განვაცხადოთ, რომ საქართველოში ჩატარებული პირველი ეროვნული სარეკლამო კამპანია წარმატებული აღმოჩდა და მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ასევე ძალიან მოხარულები ვართ, როდესაც ვაკვირდებით ქართველი გამარჯვებულების გამოხატულ ემოციებს მოედანზე; მათთან ერთად ჩვენც ვიზიარებთ ამ შეუფასებელ მომენტებს. R

ანდერსონი: შანსები თანაბარია

ლაციოს კოზირი გულშემატკივარია

სერია A-ს გასული სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა ფელიპე ანდერსონია, რომელმაც "ლაციოს" რიგებში ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარა. 22 წლის ბრაზილიელ შემტევს ლომის წვლილი მიუძღვის იმაში, რომ "ბიანკოჩელესტემ" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ფელიპე ანდერსონის გადაბირება არაერთ ევროპულ გრანდს სურდა, მაგრამ რომში დარჩენა და "ლაციოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაზე თამაში ამჯობინა. თუმცა, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ძირითად ბადეში მოსახვედრად რომაელებს ლევერკუზენის "ბაიერის" ბარიერის გადალახვა მოუწევთ. ანდერსონთან ინტერვიუც ამ თემით დაიწყო. აქვე ვთქვათ, რომ "ლაციო"-"ბაიერის" პირველი შეხვედრა "სტადიო ოლიმპიკოზე" დღეს გაიმართება...

ფელიპე ანდერსონი

- რომელი გუნდია ამ წყვილში ფავორიტი?

- ასეთ დროს, ფეხბურთელები ხშირად ამბობენ, რომ შანსები თანაბარია. და, უმეტეს შემთხვევაში, უბრალოდ, ცრუობენ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც შანსები მართლაც 50/50-ზეა. ალბათ დამეთანხმებით, რომ "ლაციო" და "ბაიერი" დაახლოებით თანაბარი დონის გუნდები არიან და ასეთ დროს ფავორიტად რომელიმეს შერაცხვა გაუმართლებელია. ის გუნდი გავა ჯგუფურ ეტაპზე, რომელიც კონკრეტული მატჩებისთვის უკეთ იქნება მომზადებული.

- რა არის "ლაციოს" კოზირი ამ რთულ დაპირისპირებაში?

- ვფიქრობ, ჩვენი კოზირი გულშემატკივარია და ეს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. პირველ თამაშს საკუთარ მოედანზე ვატარებთ და ქომაგებმა მეთორმეტე ფეხბურთელის როლი უნდა ითავონ. მგონია, რომ ჩვენ უფრო ემოციური გულშემატკივრები გვყავს და მხურვალე მხარდაჭერა გარანტირებული გვექნება. ჩვენი მხრივ, თავს არ დავზოგავთ, რომ ტიფოზები გავახაროთ.

- ალბათ, სწორედ ჩემპიონთა ლიგა იყო უმთავრესი სტიმული საიმისოდ, რომ რომში დარჩენილიყავით...

- "ლაციოში" თავს ბედნიერად ვგრძნობ, აქ სრულად მენდობიან და სიმართლე გითხრათ, წასვლაზე არც მიფიქრია. იყო საინტერესო შემოთავაზებები, მაგრამ დარჩენა მსურდა. ერთ-ერთი მიზეზი, უდავოდ, ჩემპიონთა ლიგაა, მაგრამ მთავარი მაინც ის ატმოსფეროა, რომელიც გუნდში სუფევს და რომლის დატოვებაც არ მსურს.

- რა იყო გასულ სეზონში პირადად თქვენი წარმატების საიდუმლო?

- ვიგრძენი, რომ მწვრთნელი მენდობოდა და ყველაფრის საფუძველი სწორედ ეს იყო. სანამ გუნდში სტეფანო პიოლი მოვიდოდა, შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ვავლენდი, მაგრამ გასულ სეზონში ყველაფერი შეიცვალა. როდესაც ვარჯიშზე მისვლაც კი გსიამოვნებს, იქ ყველაფერი კარგად იქნება. ურთულესი სეზონი იყო, რომელიც, საბედნიეროდ, წარმატებით დავასრულეთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში, "ნაპოლის" და "ფიორენტინას" მძაფრ კონკურენციაში ვაჯობეთ და ასევე, ჩამოვიტოვეთ მილანური და გენუური გუნდები. მართლაც საოცარი სეზონი იყო, თუმცა მთავარი წარმატებები წინ გველოდება.

- მაინც, რას უმიზნებთ, თუნდაც იმავე ჩემპიონთა ლიგაზე?

- ჯერ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე უნდა მოვხვდეთ და დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთ. რაც შეეხება სერია A-ს, მიზნად სამეულში მოხვედრა უნდა დავისახოთ და იმედია, კიდევ ერთხელ გავახარებთ გულშემატკივრებს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ურთულესი ამოცანაა, რადგან კონკურენტები გვარიანად გაძლიერდნენ. "მილანმა" და "ინტერმა" ტრანსფერებში დიდი ფული დახარჯეს.

- კონკურენტები ძლიერდებიან, "ლაციოს" კი ძველი ტრიო ჰყავს შეტევაში...

- ჩემთან ერთად ანტონიო კანდრევას და მიროსლავ კლოზეს გულისხმობთ. საკუთარი თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და ისეთი ტრიოა, რომელსაც ნებისმიერი დაცვის გარღვევა შეუძლია. არც ფილიპ ჯორჯევიჩი უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც მზადაა ნებისმიერ დროს ჩაერთოს თამაშში და გამარჯვების გოლი გაიტანოს. ჩემი აზრით, "ლაციოს" წარმატების ფორმულა მაინც გუნდურობაშია.

- თქვენი ოცნების გუნდზე რას გვეტყვით?

- დღეს მხოლოდ "ლაციოში" თამაშზე ვარ კონცენტრირებული და არსად გადასვლა არ მსურს. ისე კი, რომელ ფეხბურთელს არ უნდა ისეთ გუნდებში ასპარეზობა, როგორებიც მადრიდის "რეალი", "ბარსელონა" ან "მანჩესტერ იუნაიტედი" არიან. მომავალში, შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს, მაგრამ დღეს "ლაციოს" ფეხბურთელი ვარ და სხვა არაფერი მაინტერესებს.

- რით ახსნით "ლაციოს" პასიურობას სატრანსფერო ბაზარზე?

- ტრანსფერები მე არ მეხება და შესაბამისად, კომპეტენტურ პასუხს ვერ გაგცემთ. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ გუნდში ისედაც კონკურენტუნარიანი შემადგენლობაა, რომელიც კიდევ უკეთესად ითამაშებს, ვიდრე გასულ სეზონში. ამას მარტივი ახსნა აქვს - უფრო გამოცდილები და შეთამაშებულები ვართ.

- როგორია მიროსლავ კლოზეს გვერდით თამაში?

- ჩემი აზრით, კლოზე თანამედროვეობის საუკეთესო და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. თანაბრად კარგად თამაშობს ფეხით და თავით, ამასთან, აქვს საოცრად კარგი საგოლე ალღო. ყოველთვის იქ არის, სადაც საჭიროა და სადაც პასის მიცემა შეგიძლია. ამის სწავლა შეუძლებელია, ეს თანდაყოლილი უნდა გქონდეს. ბედნიერი ვარ, რომ კლოზესთან ერთად ვთამაშობ.

- რას უნდა ველოდოთ ფელიპე ანდერსონისგან ახალ სეზონში?

- გასულ სეზონში ბევრი გოლი გავიტანე, მაგრამ ჩემთვის ეს თვითმიზანი ნამდვილად არ ყოფილა. ყოველთვის გუნდის ინტერესებიდან გამოვდიოდი და ასე იქნება ახალ სეზონშიც. ყველაფერს გავაკეთებ, რომ "ლაციოსთან" ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო.

● საავარაუდო ტრანსფერები

ინტერს დრის მერტენსი სურს

საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, **დრის მერტენსი** "ნაპოლიდან" "ინტერში" გადავიდეს. 28 წლის ბელგიელი შემტევი **რაფაელ ბენიტესის** "ნაპოლიში" მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და როგორც ჩანს, არც **მაურიციო სარის** ხელში აქვს უკეთესი პერსპექტივა. მერტენსს მეტი სათამაშო დრო სურს, ამას არც მალავს და შესაბამისად, ახალი გუნდის ძიებაშია. სწორედ ამ დროს გამოჩნდა "ინტერი", რომელიც შეტევის გაძლიერებას ლამობს და როგორც ჩანს, ფლანგის ფეხბურთელზე აკეთებს აქცენტს.

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, "ინტერის" წარმომადგენლები უკვე ჩავიდნენ ნეაპოლში, სადაც პირადად ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და თუ ყველაფერი კარგად იქნა, შემდეგ კლუბების მესვეურებს შორის შედგება შეხვედრა.


დრის მერტენსი შესაძლოა „ინტერში" გადავიდეს

ჯილარდინოს სიცილიური ვარიანტი


ალბერტო ჯილარდინოს დამატება "პალერმოს" უნდა

ალბერტო ჯილარდინომ გასული სეზონის მეორე ნახევარი "ფიორენტინაში" გაატარა, თუმცა დაუმთავრდა თუ არა საიჯარო ხელშეკრულება, ჩინურ "გუანჯუ ევერგრანდს" დაუბრუნდა. ფლორენციელებმა 33 წლის ფორვარდის გამოსყიდვაზე უარი თქვეს, მაგრამ ალბერტოს სხვა იტალიური ვარიანტი გამოუჩნდა. "კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, ჯილარდინოს გადაბირება "პალერმოს" მესვეურთა პრიორიტეტული მიზანია და საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ. აღნიშნული ცნობა სიცილიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ჯუზეპე იაკინიმ** დაადასტურა:

"სტატისტიკა ყველაფერზე ნათლად მეტყველებს და ცხადია, რომ ჯილარდინო უმაღლესი კლასის ფორვარდია. ვფიქრობ, ალბერტო სეზონში მინიმუმ 12 გოლს გაიტანს, ეს კი ის შედეგია, რომლის გამოც პაულო დიბალა ტურინის "იუვენტუსმა" გადაიბირა. ვიცი, რომ კლუბის მესვეურები აქტიურად მუშაობენ ამ ტრანსფერზე და იმედი მაქვს, რომ შეთანხმება მალე შედგება".

● ტრანსფერი

რომა დაცვას აძლიერებს

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ 22 წლის მცველი **ანტონიო რუდიგერი** კარიერას "რომაში" გააგრძელებს. აქვე ვთქვათ, რომ რუდიგერი აქამდე "შტუტგარტში" ასპარეზობდა და იტალიაში სწორედ შვაბური კლუბიდან გადადის. ითქვა ისიც, რომ ანტონიო "რომასთან" საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებს, ერთი წლის თავზე კი იტალიელებს მასთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების პრიორიტეტული უფლება ექნებათ.

ანტონიო რუდიგერი ცენტრალური მცველია, გარდა იმისა, რომ 2012 წლიდან "შტუტარტის" ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახლავთ, გერმანიის ყველა ასაკობრივ გუნდში აქვს ნათამაშები და გასულ წელს ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. ცნობილია, რომ **იოაჰიმ ლიოვი** მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

ანტონიო რუდიგერი

პელეგრინის ტრიუმფი და მოურინიოს ვნებანი

პრემიერლიგის მეორე ტურში სეზონის პირველი სუპერმატჩი შედგა - ვიცე-ჩემპიონმა "სიტიმ" მოქმედი ჩემპიონი "ჩელსი" ჩაყლაპა. "ქალაქელებმა" მეტოქეს ძალიან აჯობეს და უკვე 5-ქულიანი უპირატესობა აქვთ მასთან. "ჩელსი" კი ძალიან მძიმედ გამოიყურება. "ლურჯებმა" მეტოქეს პირველად ზუსტად 70-ე წუთზე დაურტყეს და 1998-99 წლების სეზონის შემდეგ პირველადაა, რომ დედაქალაქელები საწყისი ორი ტურის შემდეგ მოუგებლები არიან.

მწვრთნელები

ჟოზე მოურინიო გრანდებთან და უშუალო კონკურენტებთან იშვიათად აგებს და ეს 0:3 ძალიან მწარე მარცხია. მიუხედავად ამისა, მან მატჩის შემდეგ ჩვეულებრივად ჩამოართვა ხელი **მანუელ პელეგრინის**, წარსულში გაცვლილი რამდენიმე მწარე კომენტარისა და "სიტყვების ომის" მიუხედავად, რომელშიც ჩილელი პორტუგალიელს ბოლომდე არ აჰყვა, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც შეეპასუხა.

პელეგრინი აბსოლუტურად საფუძვლიანად იყო აღფრთოვანებული თავისი ბიჭების თამაშით და ხოტბას ასხამდა მათ. ხოლო მოურინიო შეშფოთებულ-დაბნეული გახლდათ და ცოტათი არაადეკვატურ-სუბიექტური კომენტარებიც გააკეთა. მისი გუნდი არა მხოლოდ იშვიათად აგებს, არამედ, უშუალოდ მანჩესტერული გუნდებისგან არ უშვებს ბევრ გოლს. მაგალითად, სამი ბურთი პირველად მიიღო. სტუმრად, მანჩესტერულ კლუბებთან მოურინიოს "ჩელსის" ერთზე მეტიც კი არ გაეშვა.

მანუელ პელეგრინი: *"ჩელსის" დარი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძალიან ძნელია. ლონდონელები ბევრი ფეხბურთელით იცავენ თავს და კონტრიერიშებისას უაღრესად სახიფათონი არიან. მათ კონტრშეტევის ორგანიზება ძალიან სწრაფად შეუძლიათ. თუმცა ჩვენ ფაქტობრივად სრულყოფილად ვითამაშეთ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სამი გოლი გავიტანეთ. გაიხსენეთ პირველი ტაიმი, როდესაც კიდევ ერთი ამდენის გატანა შეგვეძლო. მხოლოდ* ***ასმირ ბეგოვიჩის*** *შესანიშნავი თამაშია იმის მიზეზი, რომ მეტი ვერ გავიტანეთ. ფაქტობრივად შეუძლებელია დომინირებდე "ჩელსის" წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით და მეტოქეს მხოლოდ ერთი საგოლე შანსი მივეცით. ვთამაშობდით იმ სტილში, რომელიც მიყვარს და მომწონს. ყოველთვის მინდა, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანოთ. ძალიან კარგად ვითამაშეთ".*

ჟოზე მოურინიო: *"მეორე ტაიმში ჩვენ უკეთესი გუნდი ვიყავით. იმას ვაკეთებდით, რასაც მეტოქე პირველში - ვდომინირებდით. როდესაც "სიტიმ" იგრძნო, რომ პრობლემები ექმნებოდა, უმალვე აგუერო და სტერლინგი შეცვალა, რათა მდგომარეობა გაეკონტროლებინა. ამ დროს, მეტოქემ სტანდარტულიდან გატანა მოახერხა და ამან ბევრი რამ შეცვალა. მეორე ნახევარში "სიტი" მხოლოდ გრძელი გადაცემებით თამაშობდა, პრობლემა არ გვექმნებოდა, მაგრამ მანჩესტერელთა მეკარე კარგად თამაშობდა და გატანა ვერ შევძელით".*

ცალკე საუბრის თემაა ის სიმშვიდე და დამაჯერებლობა, რომლითაც "სიტი" პირველ ორ ტურში გამოირჩა. აქამდეც გვითქვამს - მანჩესტერელები თითქოს გაბარაზდნენ წინა სეზონის წარუმატებლობაზე, გაიაზრეს საკუთარი პოტენციალი და ძალიან შემართულები არიან. ჩილელმა სპეციალისტმაც სწორედ ამაზე ისაუბრა და თავისი სიტყვებით ჩვენი ვარაუდი გაამართლა.

"ის, რაც წინა სეზონში მოხდა, კარგი გაკვეთილი იყო და ფეხბურთელები უფრო მშივრები და გაბრაზებულები არიან. ახლა მათ ყველა შეხვედრის მოგება უნდათ", - განაცხადა პელეგრინიმ.

ტერის შეცვლა

"სიტისა" და "ჩელსის" მატჩი გამორჩეული იმითაც გახლდათ, რომ ჟოზე მოურინიომ **ჯონ ტერი** შეცვალა, რაც აქამდე არასოდეს გაეკეთებინა. მის ხელში, ლონდონელთა კაპიტანს 176 მატჩი შეუცვლელად ჰქონდა ჩატარებული. მანჩესტერელებთან მატჩის შესვენებაზე კი ტერის მოქმედებით უკმაყოფილო პორტუგალიელმა იგი **კურტ ზუმათი** ჩაანაცვლა. ზოგადად კი ჯონი 2013 წლის მაისის მერე არ შეეცვალათ. ზედმეტმა კითხვებმა ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ, მოუ გააღიზიანა.

"იმ მომენტში ჩემთვის ნათელი იყო, რომ ზუმას უნდა ეთამაშა. უსვამდით თუ არა იმავე კითხვებს რაფა ბენიტესს, ანდრე ვილაშ-ბოაშს, რობერტო დი მატეოს? მწვრთნელებს, რომლებიც მას არ ათამაშებდნენ ხოლმე? მე ამ საკითხზე არ უნდა მელაპარაკებოდეთ, რადგან სწორედ მე ვათამაშებ ჯონს ყველა შეხვედრაში, მე გავხადე ჯონი კაპიტანი და სხვა მწვრთნელებთან გადატანილი რთული პერიოდების შემდეგ, მე დავეხმარე მდგომარეობიდან გამოსვლაში. ჩემი კაპიტანი შევცვალე, მაგრამ ის სათადარიგოთა სკამზეც კაპიტნად დარჩა, სამკლავური უბრალო ფორმალობაა. რა რეაქცია ჰქონდა მას? გასახდელში სიხარულისგან არ ცეკვავდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ნორმალურად მიიღო", - განაცხადა "განსაკუთრებულმა".

მოურინიოს ახალი

გახარებული სიტი

ფეხბურთელები სჭირდება

პრინციპული მატჩის ასეთი ანგარიშით ნაგება გვერდზე გადავდოთ. უფრო შემაშფოთებელი ლონდონელთა თამაშის ხარისხია. უფანტაზიო, პრიმიტიული იერიშები და დაცვის შეცდომები. აქცენტი, პირველ რიგში, შეტევაზე გავაკეთოთ, სადაც მოურინიოს ჰყავს **დიეგო კოშტა**, **რადამელ ფალკაო** და **ლოიკ რემი**, მაგრამ... ჯერ ერთი, იქამდე ბურთს მიტანა უნდა და მხოლოდ **ედენ აზარის** მცდელობები ყოველთვის საკმარისი არ არის, თანაც ბელგიელს ძალიან მჭიდროდ მეურვეობენ ხოლმე. **ოსკარი** დაშავდა და ოპტიმალურ ფორმაში ვერ ჩადგა. **ვილიანიც** ვერ ბრწყინავს, მონდომების მიუხედავად. **ხუან კუადრადო** ჯერჯერობით გუნდშია და შეცვლაზეც შემოვიდა, მაგრამ კოლუმბიელი ვერაფერს გამორჩა, ის პრემიერლიგას ვერ მოერგო, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ახლა, მეორე: **დიეგო კოშტა** ისეთი ეფექტური ვეღარ არის, როგორიც წინა სეზონში გახლდათ და უკმაყოფილება აგრესიულობაში გადასდის. ფალკაო ჯერ ბოლომდე მზად არ გახლავთ, მაგრამ შეცვლაზე შემოსულს გატანა შეეძლო, რაც „ბოროტმა" **ჯო ჰარტმა** არ დაანება. რემის კი შანსი არ მისცემია.

მოურინიო კი ჯერ კიდევ წინა ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში საუბრობდა - გაძლიერება გვჭირდებაო და, ალბათ, ახლაც ასე ფიქრობს. ჩანს კიდეც, რომ ასეა. თუმცა პორტუგალიელს, ალბათ, ტრანსფერებზე ლაპარაკი და წუწუნი "აუკრძალეს", რის გამოც ის მომენტს არ უშვებს ხელიდან და კონკურენტების მიერ დახარჯულ თანხებსა და მათ გაძლიერებაზე საუბრობს, რითაც მიგვანიშნებს, რომ "ჩელსი" არ გადახალისებულა და შესაბამისად, შეიძლება გაუჭირდეს კიდეც.

ვინ იცის, მოურინიომ **რომან აბრამოვიჩს** შეაგნებინა, რომ დიდი ფულის დახარჯვა ამ სატრანსფერო ფანჯრის დროსაც არის საჭირო და აუცილებელი, რადგან ბოლო დროს ისევ დაიწყო საუბრები "ჩელსის" ინტერესზე ამა თუ იმ ფეხბურთელის მიმართ. ყურადღების ცენტრში **ანტუან გრიზმანია**, რომლის "ატლეტიკოდან" წამოყვანასაც "ლურჯები" ადრეც ცდილობდნენ.

გარდა ამისა, დაცვაში "ჩელსის" მთავარი სამიზნე **ჯონ სტოუნსი** რომ არის, ალბათ, ესეც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ახალგაზრდა ინგლისელის თაობაზე "ევერტონთან" მოლაპარაკება წინ ვერ მიდის. ლონდონელები "გალათასარაის" უკანახაზელს **ალექს ტელესაც** უტრიალებენ და თურმე სტამბოლელებს 5 მილიონი ფუნტიც შესთავაზეს, რაც "გალას" ეცოტავა.

სტერლინგი

"სიტიმ" მძლავრად, თავბრუდამხვევად, ლამაზად, ენერგიულად და შედეგიანად დაიწყო და ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, **რაჰიმ სტერლინგის** გარეშე ხდება. ყველაზე ძვირადღირებულ ინგლისელ ფეხბურთელს, პირველ ორ ტურში 49 მილიონი ფუნტისა ამჯერად შეცვლაზე შემოვიდა. პელეგრინის მისი სახით, ძალიან საიმედო, უმაღლესი კლასის ფორვარდი ჰყავს, რომელმაც, როგორც ჩანს, ადაპტაციის პერიოდი საბოლოოდ და წარმატებით გაიარა და უკვე მთელი მისი ბრწყინვალებითაა "სიტის" განკარგულებაში.

გამოვარჩიოთ ფლანგებიც. მარჯვნიდან **ხესუს ნავასი** იყო რეაქტიული. იგი ამ დიდი კონკურენციის ფონზე ცდილობს ძირითადში ადგილის დამკვიდრებას, ხოლო მთელ მარცხენა ფლანგს **ალექსანდრ კოლაროვი** აკონტროლებს შეტევაში თავისი გაუთავებელი ჩართვებით, სახიფათო სტანდარტულებითა და გამჭოლი გადაცემებით. სერბი სეზონს კარგ ფორმაში ხვდება და მწვრთნელიც ხედავს ამას - ამიტომაც აყენებს ძირითადში.

ფეხბურთელების და ექსპერტების კომენტარები

"ამ ტემპში, ასეთი შემართებითა და თავდაჯერებით თამაში ყველაფერს შესაძლებელს ხდის. ძალიან გვიხარია, რომ ფანები ასე გავაბედნიერეთ. მიდი "სიტი"! - დაწერა სოციალურ ქსელში აგუერომ.

ვენსან კომპანი: *"55 ათასი ფანი, მათი საოცარი გულშემატკივრობა და ჩვენი ბრწყინვალე თამაში. ეს კარგი დღე იყო".*

"ძალიან შთამბეჭდავი თამაში "სიტისგან". გუნდი თავიდანვე დამსახურებულად ჩაუდგა ცხრილს სათავეში", - **გარი ლინეკერი**.

ალან შირერი: *"მოქმედი ჩემპიონები აბსოლუტურად ყველა კომპონენტში აშკარად დაიჩაგრნენ. ყოჩაღ "სიტი".*

"უკვე მეორე მატჩია "ჩელსი" ძალიან მძიმედ გამოიყურება. ჟოზეს მთელი გენიის გამოყენება მოუწევს, რომ ამ სეზონში ტიტული შეინარჩუნოს", - განაცხადა **რიო ფერდინანდმა**.

მომავალი მატჩები

როგორც "სიტის", ასევე "ჩელსის" საგარეო თამაშები ელოდებათ და ადვილი შეხვედრა არც ერთი იქნება. "ქალაქელები" "გუდისონ პარკზე" "ევერტონს" ესტუმრებიან. "ლურჯებს" კი "ვესტ ბრომვიჩთან" აქვთ ვიზიტი. მათი ბოლო სტუმრობა "ალბიონთან" ძალიან ცუდად დამთავრდა - 0:3. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "ვესტ ბრომს" ჯერ არ მოუგია და **ტონი პულისი** გაბრაზებულია...

ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ ეს ორი გამორჩეული ტაქტიკოსის დუელი იქნება - შარშანწინდელ სეზონში საუკეთესოდ დასახელებული პულისის და შარშანდელის საუკეთესოდ აღიარებული მოურინიოსი.

პრემიერლიგა. II ჯერი

ლივერპული–ბორნმუთი 1:0

გოლი: 1:0 ბენტეკე (27)

ლივერპული: მინოლე, კლაინი, შკრტელი, ლოვრენი, გომესი, ჰენდერსონი (52. ჩანი), მილნერი, კოუტინიო (82. მორენო), აიბი (70. რობერტო ფირმინო), ლალანა, ბენტეკე.

ბორნმუთი: ბორუცი, ფრენსისი, ელფიკი, კუკი, დენიელსი, რიტჩი, ო´კეინი (87. გოსლინგი), სერმანი, გრადელი (82. სმიტი), კინგი (62. ტომლინი), უილსონი.

გაფრთხილება: გომესი - ო´კეინი, ტომლინი

კარში დარტყმა: 18(2)-13(2); **ბურთის ფლობა**: 56%-44%; **კუთხური**: 6-8; **ოფსაიდი**: 1-0; **ჯარიმა**: 11-18

მაყურებელი: 44 102

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერ სიტი	2	2	0	0	6-0	6
2. ლესტერი	2	2	0	0	6-3	6
3. ლივერპული	2	2	0	0	2-0	6
4. მანჩესტერ იუნ	2	2	0	0	2-0	6
5. ევერტონი	2	1	1	0	5-2	4
6. სუონსი	2	1	1	0	4-2	4
7. კრ. პალასი	2	1	0	1	4-3	3
8. ვესტ ჰემი	2	1	0	1	3-2	3
9. ნორვიჩი	2	1	0	1	4-4	3
10. ასტონ ვილა	2	1	0	1	1-1	3
11. არსნალი	2	1	0	1	2-3	3
12. უოტფორდი	2	0	2	0	2-2	2
13. ტოტენჰემი	2	0	1	1	2-3	1
14. სტოკი	2	0	1	1	2-3	1
15. ნიუკასლი	2	0	1	1	2-4	1
16. ჩელსი	2	0	1	1	2-5	1
17. საუთჰემპტონი	2	0	1	1	2-5	1
18. ვესტ ბრომვიჩი	2	0	1	1	0-3	1
19. ბორნმუთი	2	0	0	2	0-2	0
20. სანდერლენდი	2	0	0	2	3-7	0

ამბები

სატყუარა დე ხეასთვის

გამომდინარე იქიდან, რომ მადრიდის "რეალს" **დავიდ დე ხეას** ხელში ჩაგდება ახლავე არ გამოსდის, ხოლო "მანჩესტერი" ჯიუტად და პრინციპულად არ ყიდის ესპანელს და მზად არის მომავალ ზაფხულს ის სულაც უფასოდ დაკარგოს, "სამეფო გუნდი" ცდილობს 24 წლის გოლკიპერი დანამდვილებით დაიბევოს და მას მიმზიდველ წინადადებას სთავაზობს - თუ მომავალ ზაფხულს დე ხეა "სანტიაგო ბერნაბეუზე" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდება, იგი პრემიის სახით დაახლოებით 17 მილიონ ევროს მიიღებს...

ალბიონს წმენდა სჭირდება

"ვესტ ბრომვიჩში" დიდი ცვლილებები იგეგმება. **ტონი პულისი** სეზონის ცუდმა სტარტმა გააბრაზა და ნახევარი გუნდის გაშვებას აპირებს. აი, **საიდო ბერაჰინოს** წასვლა მას დიდად არ სურს, მაგრამ კლუბის გამოცვლაზე თავად ფეხბურთელი ფიქრობს და "ტოტენჰემიც" მზადაა, ბურუნდული ფესვების მქონე ინგლისელში 15 მილიონი ფუნტი გადაიხადოს.

სხვა მხრივ კი პულისმა 33 წლის მცველს **ჯოლეონ ლესკოტს**, 31 წლის მოურჯულებელ შემტევ ნახევარმცველს **სტეფან სესენიონსა** და ფორვარდებს - 26 წლის **იდეიე ბრაუნსა** და 27 წლის **ვიქტორ ანიჩებეს** - განუცხადა, რომ მათ წასვლა შეუძლიათ, თუ გუნდი ნორმალურ შეთავაზებას მიიღებს.

ევერტონი თავს იზღვევს

"ევერტონი" თავის დაზღვევის მიზნით ახალ მცველს ეძებს, რადგან **ჯონ სტოუნსის** წასვლის შანსი დიდია. "კანფეტების" მწვრთნელი **რობერტო მარტინესი ეშლი უილიამსს** არ ეშვება. "სუონსიმ" თავისი კაპიტანი თითქოს საბოლოოდ დაიყოლია დარჩენაზე, მაგრამ 30 წლის მცველს "ევერტონი" სარფიან კონტრაქტს სთავაზობს. კიდევ ერთი მცველი, რომლის ხელში ჩაგდებაც მერსიასიდულ გუნდს სურს, ბრემენის "ვერდერის" **იანიკ ვესტერგაადია**, მაგრამ 23 წლის უკანახაზელს "ნიუკასლსაც" უკავშირებენ.

პარალელურად, მარტინესი თავდასხმის გაძლიერებაზე ფიქრობს და კიევის "დინამოდან" **ანდრეი იარმოლენკოს** მოყვანასთანაა ახლოს. 25 წლის უკრაინელს პრემიერლიგიდან სხვა მსურველებიც ჰყავს, მაგალითად "სტოკი".

ბილიჩი მეკარის ძიებაშია

"ვესტ ჰემ იუნაიტედის" ახალ მწვრთნელს **სლავენ ბილიჩს** ესპანელი **ადრიანის** საიმედო დუბლიორი და კლუბში მეკარეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის აღდგენა სჭირდება. ამის გამო, ხორვატი "ჩაქუჩებში" დაბრუნებას სთავაზობს **რობერტ გრინს**. 35 წლის გოლკიპერი ამჟამად "ქუინზ პარკ რეინჯერსის" კარს იცავს და თუ ნოსტალგია მოეძალა, შესაძლოა, "ბოლეინ გრაუნდზე" მეორე მეკარის სტატუსითაც დაბრუნდეს და შემდეგ იბრძოლოს პირველი ნომრობისთვის.

გვერდი მოამზადა
გიორგი კაკაბაძემ

ესპანეთის სუპერთასი. II მაჯი

ბარსელონა–ბილბაო 1:1 (0:4)

გოლი: 1:0 მესი (43), 1:1 ადურისი (75)

ბარსელონა: ბრავო, დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, მატიო, რაკიტიჩი (68. რამირესი), ბუსკეტსი, ინიესტა, მესი, სუარესი, პედრო (68. ელ ჰადადი).

ბილბაო: ირაისოსი, ბოვედა, ეჩეიტა (68. ელუსტონდო), ლაპორტი, ბალენსიაგა, დე მარკოსი, გურპეგი, ეჩებარია (84. რიკო), სუსაეტა, ერასო, ადურისი (81. სოლა).

გაძევება: პიკე (56. ბარსელონა), სოლა (86. ბილბაო)

გაფრთხილება: პედრო - ბოვედა, ერასო, ადურისი, ეჩებერია

კარში დარტყმა: 15(4)-7(4); **ბურთის ფლობა**: 71%-29%; **კუთხური**: 9-3; **ოფსაიდი**: 7-1; **ჯარიმა**: 5-14

მაყურებელი: 75 000

ტრანსფერები და ჭორები

ანტონიო რიუდიგერი

13:04 დავიწყოთ ყველაზე მთავარი ამბით - **სერხიო რამოსმა** ოფიციალურად გააგრძელა კონტრაქტი „რეალთან". კლუბის ვებგვერდი იტყობინება 2020 წლამდე ხელშეკრულების შესახებ, მაგრამ დეტალებზე არ წერს.

13:17 რამოსის შემდეგ გადავდივართ **დე ხეაზე**, რომელსაც კვლავაც სურს „რეალში" გადასვლა. El Confidencial-ის ინფორმაციით, თუ ტრანსფერი ჩაიშლება, მეკარე შეწყვეტს თანამშრომლობას თავის აგენტთან **ჟორჟუ მენდეშთან**. ესპანელ მეკარეს ამ პიროვნებასთან სამი წლის წინათ გაუფორმებია კონტრაქტი და პირობაც წამოუყენებია - აუცილებელი ტრანსფერი „რეალში". თუ გადასვლა არ შედგება, დე ხეა 5 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაციას მიიღებს.

13:20 Mirror კი წერს, რომ „რეალს" არ სურს დე ხეაში 40 მილიონის გადახდა. მადრიდელები მომავალ წლამდე მოიცდიან, როცა ესპანელს უფასოდ მიიღებენ.

14:08 Cadena Cope-ს ინფორმაციით, **ნიკოლას ოტამენდის** „მანჩესტერ სიტიში" გადასვლას წინ არაფერი უდგას.

14:12 „იუვენტუსი" აგრძელებს **ისკოს** ტრანსფერზე მუშაობას. La Gazzetta dello Sport წერს, რომ ტურინელები გარიგებაში **ალვარო მორატას** ჩართავენ ან ისკოს იჯარას ეცდებიან.

14:16 **სოფიან ფეგული** პარასკევს თურქეთში ჩავა „ფენერბაჰჩესთან" კონტრაქტის გასაფორმებლად.

14:20 როგორც ჩანს, **კოვაჩიჩის** ტრანსფერი „რეალში" რეალურად შედგება. *„გავყიდით კოვაჩიჩს ფინანსური ფეარ პლეის გამო. ამავე მიზეზით გავუშვით შაჩირი. სამწუხაროა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის"*, - განაცხადა „ინტერის" დამრიგებელმა **რობერტო მანჩინიმ**.

14:24 სხვათა შორის, **მატეო კოვაჩიჩის** ყიდვა გაზრდის ისკოს „იუვენტუსში" გადასვლის ალბათობას. თუმცა ხორვატი ჯერ არ არის ოფიციალურად „რეალის" ფეხბურთელი.

14:28 Nieuwsblad წერს, რომ **დე ბრუინი** „მანჩესტერ სიტის" ვეღარსად გაექცევა. თუმცა ინგლისურ კლუბს მოუწევს „ვოლფსბურგისთვის" 70 მილიონი ევროს გადახდა. ბელგიელი კი „სიტიში", კვირაში 320 ათას ევროს მიიღებს.

14:32 იგივე წყარო ამტკიცებს, რომ **მბარკ ბუსუფა** „ანდერლეხტში" დაბრუნდება. მაროკოელმა უკვე მოილაპარაკა ხელფასზე. ამ კვირას გაიმართება მოლაპარაკებები კლუბებს შორის - „ანდერლეხტი" 1.5 მილიონს იხდის, „ლოკომოტივს" 2 მილიონი უნდა.

14:36 „მარსელის" გარემარბი **ფლორიან ტოვენი** „ნიუკასლს" აინტერესებს. „კაჭკაჭები" მორიგი ფრანგისთვის 17 მილიონ ევროს გადაიხდიან და „მარსელს" იჯარით **რამი კაბელას** მისცემენ.

14:40 „ნაპოლის" აღარ უნდა **კალიდუ კულიბალი**, - იტყობინება Football Italia. მცველი, დიდი ალბათობით, „საუთჰემპტონში" გადავა, რომელმაც უკვე შესთავაზა იტალიელებს 12 მილიონი ევრო.

14:50 ასევე „ნაპოლი" უნდა დატოვოს **ჯონათან დე გუზმანმა**. ჰოლანდიელის აგენტმა განაცხადა, რომ მის შეგირდზე იმედებს აღარ ამყარებენ. დე გუზმანს „მარსელში" ელიან, რომელიც 4 მილიონს გამოდის.

14:55 „სამპდორიას" ახალწეული **ანტონიო კასანო** თავის გუნდში ეძახის **მარიო ბალოტელის**. ფეხბურთელებმა მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაცვალეს.

15:00 თუმცა ბალოტელის ტრანსფერსა და ხელფასზე „სამპდორიას" ფული არ ეყოფა. არის მხოლოდ იჯარის ვარიანტი.

15:12 „იუვენტუსი" აგრძელებს „შალკესთან" ვაჭრობას **დრაქსლერის** თაობაზე. ჟურნალისტი **ტანკრედი პალმიერი** წერს, რომ ტურინელებმა ნახევარმცველისთვის 18 მილიონი შესთავაზეს.

15:18 სხვათა შორის, „იუვენტუსი" ადრე უკვე მოელაპარაკა თავად დრაქსლერს. გერმანელი იტალიაში 2.7 მილიონს მიიღებს წელიწადში. კონტრაქტი ხუთწლიანი იქნება.

15:32 **გიოქჰან ინლერი** სულ მალე გაივლის სამედიცინო შემოწმებას „ლესტერში", - წერს ESPN.

16:01 „ჩელსის" ახალწვეული **რაჰმან ბაბა** ახალ კლუბში მე-17 ნომრით ითამაშებს, რომელიც ადრე ეკუთვნოდათ **აზარს, სალაჰს, ბოსინგვასა** და **ფერერს**.

16:07 **ლიუკ დინი**, ჯერჯერობით, ვერ მიდის „პარი სენ-ჟერმენიდან". *„ის წავა მაშინ, როცა მის შემცვლელს ვიპოვით. ის ვერ მოხვდა „აიაჩოსთან" განაცხადში იმის გამო, რომ იტალიაში იმყოფებოდა"*, - განაცხადა ბლანმა, რომელსაც მხედველობაში აქვს „რომა".

იტალიური კლუბი იჯარით აიყვანს ფრანგს და ერთი წლის შემდეგ 17 მილიონ ევროდ გამოსყიდვის უფლება ექნება.

16:17 **გაბრიელ პალეტა**, შესაძლოა, „მილანიდან" „რომაში" გადავიდეს, - წერს Calciomercato. **იანგა-მბივასა** და **ალესიო რომანიოლის** გაყიდვის შემდეგ, რომაელებმა ცენტრალური მცველის შეძენის აუცილებლობა იგრძნეს.

16:35 „კრისტალ პალასს" აინტერესებს პსჟ-ს მეკარე **იერუნ ცოეტი**. De Telegraaf ცნობით, მოლაპარაკებები უკვე დაიწყო, თუმცა, ამასწინათ, ჰოლანდიელებმა მეკარეს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს.

16:58 „პლზენმა" მთავარი მწვრთნელი შეცვალა. **მიროსლავ კუბეკმა** ჩააგდო ჩემპიონთა ლიგაზე გასვლის ამოცანა და მის ადგილს **კარელ კრეიჩი** დაიკავებს.

17:04 **კრისტიან ერიქსენის** აგენტმა კომენტარი გაუკეთა ჭორებს, რომლითაც დანიელი „იუვენტუსში" გადადის. *„ჭორებზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ისედაც ვიცი, რომ ტოპ-კლუბები თვალს ადევნებენ კრისტიანს 14 წლის ასაკიდან. მას ყველაფერი ანყობს „ტოტენჰემში", მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება მომავალში"*, - განაცხადა აგენტმა Ekstra Bladet-ში.

17:08 ადრე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ტოტენჰემმა" უარი თქვა 21 მილიონ ევროდ ერიქსენის „იუვენტუსში" გაყიდვაზე.

17:13 **ლორიკ კანა**, შესაძლოა, „სანდერლენდში" დაბრუნდეს. ალბანელის კონტრაქტი „ლაციოსთან" ამოიწურა, ამიტომაც, ინგლისელებს 32 წლის მცველი უფასოდ შეხვდებათ, - წერს Daily Mail.

17:19 „ინტერს" ჯერ ისევ უნდა **ფაბიო კოენტრაუ**. Sky Sport Italia-ს ინფორმაციით, „ნერაძური" „რეალს" 7 მილიონ ევროს შესთავაზებს, თუმცა მადრიდელებს 15 მილიონი უნდათ.

17:34 „სუონსიმ" გამოაცხადა „ფალკირკიდან" 19 წლის **ბოტი ბიაბის** ტრანსფერის შესახებ.

17:53 Telegraph-ის ცნობით, „ვესტ ბრომვიჩში, შესაძლოა, წმენდა დაიწყოს. გუნდი შეიძლება დატოვონ **ბერაჰინომ, სესენიონმა, ლესკოტმა, იდეიემ** და **ანიჩებემ**.

18:20 **ბალაჟ ჯუჯაკი** ოფიციალურად გახდა „ბურსას" ფეხბურთელი. უნგრელმა წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

18:40 The Sun ამტკიცებს, რომ „მანჩესტერ სიტი" დათანხმდა დე ბრუინთან დაკავშირებით „ვოლფსბურგის" პირობებს. „ქალაქელები" მზად არიან 70 მილიონი ევრო გადაიხადონ.

19:07 **ადნან იანუზაის** აღარ უნდა იჯარით წასვლა. Sky Sports-ის ინფორმაციით, ბელგიელს იმპულსი შემატა „ასტონ ვილას" კარში გატანილმა გოლმა და ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა სურს.

19:13 ისკოს აგენტმა უარყო ფეხბურთელის „იუვენტუსში" გადასვლის ჭორები. *„ამ ხმებს საფუძველი არ გააჩნია. ეს იმისთვისაა, რომ გაზეთებში რაიმე საკითხავი იყოს"*, - განაცხადა **რაფაელ კომინომ**.

19:19 „ბარსელონას" ნახევარმცველი **ალენ ჰალილოვიჩი** უახლოეს პერიოდში დატოვებს კლუბს. 19 წლის ხორვატი, შესაძლოა, იჯარით ხიხონის „სპორტინგში" ან „ჰამბურგში" აღმოჩნდეს.

19:35 „რეალი" ამზადებს კოვაჩიჩის ტრანსფერს და მისთვის ადგილს ათავისუფლებს. Metro-ს ინფორმაციით, მადრიდს დატოვებს **ასიერ ილიარამენდი**, რომელიც „ლივერპულს" აინტერესებს. გარიგების თანხამ, შესაძლოა, 20 მილიონი ევრო შეადგინოს.

20:01 „შტუტგარტის" აწ უკვე ექსმცველმა **ანტონიო რიუდგერმა** წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება „რომაში".

20:12 როგორც ჩანს, „ნაპოლის" შემადგენლობას სერიოზული წმენდა ელოდება. კულიბალისა და დე გუზმანის გარდა, გუნდი შეიძლება დატოვონ - **ენრიკემ, ელ კადურომ, ანდუხარმა, რაფაელმა, დუმიტრუმ** და **სუნიგამ**.

20:18 „გუანგჯოუ ევერგრანდმა" დაადასტურა **დიამანტის** ერთწლიანი იჯარა „უოტფორდში".

20:35 პსჟ-მ გაუზარდა ხელფასი **მარკო ვერატის**, რომელსაც აქტიურად ეპატიჟებიან „რეალი" და „ბარსელონა". იტალიელის მოქმედი კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

21:00 „ნიუკასლსა" და „ევერტონს" აინტერესებთ „ვერდერის" მცველი **იანიკ ვესტერგაარდი**.

გია თვალაგეიშვილი

● *რეალი*

რამოსი რეალში რჩება

სერხიო რამოსი მადრიდის "რეალში" რჩება, რის სადემონსტრაციოდაც, მხარეებმა ახალი კონტრაქტი შეათანხმეს. ექსსევილიელი კიდევ 5 წლით დარჩება "სამეფო გუნდში" და ხელფასიც, ალბათ, იმდენი ექნება, რამდენიც სურდა. ბევრის აზრით, რამოსმა შესაძლო წასვლაზე ლაპარაკი სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ **ფლორენტინო პერესისთვის** სასურველი კონტრაქტი დაეტყუებინა და, როგორც ჩანს, 29 წლის მცველმა მიზანს მიაღწია კიდეც. ეს ცუდი ამბავია "მანჩესტერ იუნაიტედისთვის", რომელსაც ძალიან სურდა რამოსის ხელში ჩაგდება.

შეგახსენებთ იმასაც, რომ რამოსი "რეალის" ახალი კაპიტანია **იკერ კასილიასის** წასვლის მერე. როგორც "რეალის" ყველაზე ძველი ბინადარი, იგი გუნდის ახალმა მწვრთნელმა **რაფაელ ბენიტესმა** გააკაპიტნა. რამოსს, რომელიც "სანტიაგო ბერნაბეუზე" "სევილიადან" 2005 წელს გადაბარგდა, ესპანეთის ნაკრებში 128 მატჩი აქვს ჩატარებული.

გიორგი კაკაბაძე

სერხიო რამოსი და ფლორენტინო პერესი

● *მანჩესტერ სიტი*

ოტამენდიმ სიტისკენ გაიხედა

ოტამენდი მანჩესტერში, ოლონდ სიტიში

"მანჩესტერ იუნაიტედი" ჯერ კიდევ არ გამორიცხავს გაძლიერებას და თავდამსხმელისა და მცველის ძიებაშია. "წითელი ეშმაკების" ერთ-ერთი სამიზნე **ნიკოლას ოტამენდია.** უფრო სწორად, იყო... რადგან ბოლო ინფორმაციით, "იუნაიტედის" თანაქალაქელმა "სიტიმ" "ვალენსიასთან" არგენტინელის სატრანსფერო ფასი შეათანხმა და მზად არის ექსბენფიკელში "ღამურებს" 40 მილიონი ევრო გადაუხადოს.

"ქალაქელებმა" 27 წლის მცველის შეძენა ორმაგად მოინდომეს მას შემდეგ, რაც ოტამენდისადმი "მანჩესტერის" ინტერესის შესახებ შეიტყვეს. "სიტიმ" უფრო სხარტად და შედეგიანად იმოქმედა და ამბობენ - ყველაფერი მალე ოფიციალურად გაფორმდება, რათა ოტამენდის უკვე შემდეგ ტურში "ევერტონის" წინააღმდეგ შეეძლოს თამაშიო. არის კიდევ ერთი ვარიანტი - "სიტი" "ვალენსიას" შედარებით ნაკლებს გადაუხდის და **ელიაკიმ მანგალას** დაუთმობს ოტამენდის სანაცვლოდ.

გიორგი კაკაბაძე



მაიკ ტაისონის დაუჯერებლად გულწრფელი, ბრუტალური და დრამატული ავტობიოგრაფია. ის მსოფლიო კრივის ლეგენდად იქცა, მაგრამ მისი ცხოვრება რინგის მიღმა, არანაკლებ სასტიკი და თავზეხელაღებული იყო, ვიდრე მისი ბრძოლები. მაიკ ტაისონი რამდენიმე პიროვნებას იტევს - დაუნდობელი მებრძოლი და ირონიული ფილოსოფოსი, მსჯავრდებული პატიმარი და შოუმენი ბროდვეიდან, დაჩაგრული ბავშვი და დაუცხრომელი მექალთანე... ბიჭი გეტოდან, რომელიც მძიმე წონით კატეგორიაში ყველაზე ახალგაზრდა აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და ეს ჩვეულებრივ ამბად მიიღო. და ბიჭი, რომელმაც ვერაფრით ისწავლა ამ ტვირთით ცხოვრება. მილიონერი, რომელიც ერთ საათში გაღატაკდა; გასამართლებული დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია; და დაუსჯელად გამოსული არაერთი ისეთი ხათაბალადან, რაც სამუდამო პატიმრობად დაუჯდებოდა. ლოთი და ნარკომანი, რომელმაც ლაგამი ამოსდო თავის დემონებს.

ის აბსოლუტურად დაუნდობელი იყო რინგზე თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ. და ის, ახლა, აბსოლუტურად დაუნდობელია საკუთარი თავისა და მკითხველის მიმართ. მაგრამ, მხოლოდ ამგვარმა შეუბრალებელმა გულწრფელობამ მისცა საშუალება, შერიგებოდა საკუთარ თავს, აღედგინა ღირსება და თავმოყვარეობა, შეეძინა სიყვარული და ოჯახი...

პროლოგი

თითქმის მთელი ექვსი კვირის განმავლობაში მთელ ქვეყანაში ვმოგზაურობდი და ჩემს მეგობარ გოგონებთან ვერთობოდი. ექვსი კვირის წინ, გაუპატიურებაში დამდეს ბრალი და განაჩენის მოლოდინში ვიყავი. ასე მინდოდა გოგონებთან გამოთხოვება. ხოლო მაშინ, როცა ისინი ჩემს გვერდით არ იყვნენ, ვიგერიებდი ქალებს, რომლებიც მოსვენებას არ მაძლევდნენ. სადაც არ უნდა დამედგა ფეხი, ყველგან ჩნდებოდნენ მანდილოსნები. უბრალოდ მოდიოდნენ და მთავაზობდნენ: „წავედით! შეგიძლია, თამამად წამომყვე. არ გამოვაცხადებ, რომ გამაუპატიურე". მაგრამ, მაშინ მათ წინადადებას ასეთ ჭრილში არ განვიხილავდი. სრულიად აღშფოთებული, მკვახედ და უხეშად ვპასუხობდი. ძალიან დათრგუნული ვიყავი იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი - ისინი, უბრალოდ, ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ჩემთვის. მაშინ ანცი და გაბოროტებული ბიჭი ვიყავი, რომელსაც ბევრი აკლდა დაღვინებამდე.

ჩემი მრისხანების რამდენიმე მიზეზს ახსნა ჰქონდა. 25 წლის ბიჭი ვიყავი და 60 წელი პატიმრობა მემუქრებოდა იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩამიდენია. ნება მომეცით გავიმეორო ის, რაც უკვე ვთქვი სასამართლო გარჩევისას, განაჩენის გამოტანისას, აპელაციის განხილვისას და ციხიდან გამოსვლის შემდეგაც. ამას სიცოცხლის ბოლომდე გავიმეორებ: არ გამიუპატიურებია **დეზირე ვაშინგტონი**. მან ეს იცის. და ღმერთმაც იცის. და ეს მის სინდისზე დარჩება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ჩემი პრომოუტერი **დონ კინგი** მიმტკიცებდა, რომ ყველა ბრალდებას მომიხსნიდნენ. და თითქოს ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქმე შეეწყვიტა. მან დაიქირავა **ვინს ფულერი** - მისი აღიარებით, საუკეთესო ადვოკატი, რომელიც მილიონი დოლარი ღირს. საბოლოოდ, ვინსი, უბრალოდ, დონ კინგის საგადასახადო საქმეებში ნდობით აღჭურვილი პირი აღმოჩნდა. და, როგორც ჩანს, დონი მასთან სამუდამო ვალში დარჩა.

მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ სამართალს ვერ ვიპოვიდი. მე ხომ არა ნიუ იორკში ან ლოს ანჯელესში, არამედ ინდიანას შტატში, ქალაქ ინდიანაპოლისში გამასამართლეს - კუ-კლუქს-კლანის ერთ-ერთ ისტორიულ დასაყრდენში. ჩემი მოსამართლე იყო **პატრიცია გიფორდი**, რომელიც ადრე, სექსუალურ ნიადაგზე დანაშაულებების გამოძიებაში სპეციალიზდებოდა და ცნობილი იყო, როგორც „მოსამართლე-ჯალათი". მე დამნაშავედ მაღიარა „ჩემს სოციალურ სტატუსთან გათანაბრებულმა" ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ ორი შავი ერია. სასამართლოს შემადგენლობაში მყოფი კიდევ ერთი ზანგი თავის მოვალეობებს იმ სასტუმროში ხანძრის შემდეგ ჩამოაშორეს, სადაც სასამართლოს წევრები გაჩერდნენ. პატრიცია გიფორდმა უარყო მისი კანდიდატურა „ფსიქოლოგიური მდგომარეობის" მოტივით. ხო, მართლა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ არ მოეწონა საკვები, რომელიც ნომერში მიართვეს.

ჩემი აზრით, სტატუსის მიხედვით ტოლ-სწორი არ მყავდა. მე ვიყავი კრივის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი მძიმე წონაში. მე ვიყავი ტიტანი, ალექსანდრ მაკედონელის რეინკარნაცია. ბრძოლის წარმართვის ჩემეული სტილი ძალიან სწრაფი იყო, დაცვა გაუვალი, თავად მე - შეუჩერებელი და მრისხანე. ეს გასაოცარია, როგორ შეიძლება განდიდების მანიამდე მიიყვანოს ადამიანი დაბალმა თვითშეფასებამ და საკუთარ თავზე გადამეტებულმა წარმოდგენამ. მაგრამ სასამართლო გარჩევის შემდეგ, ამ კერპს ისევ მოუხდა საკუთარი შავი უკანალის სასამართლოში მითრევა განაჩენის მოსასმენად.

თუმცა, მანამდე, „ღვთაებრივი ჩარევის" გარკვეული მცდელობა მქონდა. ჩემმა ჩიკაგოელმა მეგობარმა **კელვინმა** ერთი ქალის შესახებ მიამბო. თურმე, მან იცოდა შელოცვა, რომელიც ციხისგან დამიხსნიდა.

- ქილაში მოშარდე, შიგნით ხუთი ასდოლარიანი კუპიურა ჩადე. ქილა სამი დღე შენი საწოლის ქვეშ დადგი და შემდეგ იმ ქალს მიუტანე. ის შენზე ილოცებს, - მითხრა კელვინმა.

- გამოდის, ეს ნათელმხილველი ქათამი აპირებს შარდიანი კუპიურები ამოიღოს ქილიდან, წყალში გაავლოს და საყიდლებზე გაემგზავროს. ვინმემ შარდით დასველებული ასდოლარიანი რომ მოგცეს, შენთვის სულ ერთი იქნება? - ვკითხე კელვინს. რა თქმა უნდა, მფლანგველის რეპუტაცია მქონდა, მაგრამ ეს მეტისმეტი იქნებოდა.

შემდეგ მეგობრებმა ვუდუს ქურუმთან წამიყვანეს. ის აღმოჩნდა გაურკვეველი ბიჭი კოსტიუმში, რომელიც გადაცმულ ქურუმსაც კი არ ჰგავდა. ეს ნაძირალა ჭაობის წუმპეში უნდა გადაგეგდო და აფრიკულ დაშიკიში (ჭრელი პერანგი აფრიკულ სტილში) უნდა გამოგეწყო. მივხვდი, რომ ქარაფშუტასთან მქონდა საქმე. მას რიტუალის ჩატარებითაც კი არ შეუწუხებია თავი. უბრალოდ, რაღაც სისულელე დაწერა ქაღალდის ფურცელზე და სცადა ჩემი დაყოლიება რაღაც უაზრობაზე, მაგრამ ვერ დამითანხმა. მას უნდოდა სასწაულმოქმედი ზეთი წამეცხო, მელოცა და განსაკუთრებული წყალი დამელია. მაგრამ მე ღვთაებრივ „ჰენესის" ვსვამდი და არ ვაპირებდი მისი წყლით გაზავებას.

საბოლოოდ, ჯადოსნური სისულელის შესასრულებლად, არჩევანი სანტერიას რელიგიის (სანტერია - სინკრეტული რელიგია, რომელიც გავრცელებულია კუბაზე, აგრეთვე აშშ-ის აფროკუბელ ემიგრანტებსა და სხვა ქვეყნებში; წარმოადგენს იორუბას ხალხის რწმენას, რომელიც შერეულია კათოლიციზმის ელემენტებთან და აფრიკულ სინკრეტულ რელიგიასთან) მღვდელზე შევაჩერე. ღამით, სასამართლოს შენობასთან მტრედითა და კვერცხით მივედით. კვერცხი ასფალტზე გავტეხე, ჩიტი გავუშვი და დავიყვირე: „ჩვენ თავისუფლები ვართ!"

რამდენიმე დღის შემდეგ რუხი კოსტიუმი ჩავიცვი და სასამართლოში წავედი. მას შემდეგ, რაც ვერდიქტი გამოტანილი იყო, დაცვამ ჩემი სახელით შეადგინა განაჩენისწინა მემორანდუმი. ეს შთამბეჭდავი დოკუმენტი იყო. ვირჯინიაში იგასტესის ინსტიტუტის სამკურნალო ნაწილის დირექტორის თანაშემწე და ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი სექსუალურ დანაშაულებებში, დოქტორი **ჯერომ მილერი** ჩემი შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მე „მგრძნობიარე და გულჩათხრობილი ახალგაზრდა მამაკაცი ვარ პრობლემებით, რაც გამოწვეულია განვითარების დეფექტით, ვიდრე საერთო პათოლოგიით". ის დარწმუნებული იყო, რომ ფსიქოთერაპიის რეგულარული სეანსების წყალობით, ჩემი გრძელვადიანი პროგნოზი საკმაოდ დადებითი იქნება. როგორც მან დასასრულს აღნიშნა, „პატიმრობის ვადა შეანელებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესს და, სავარაუდოდ, მას წაღმა შემოაბრუნებს. ჩემი დაჟინებული რეკომენდაციაა - განვიხილოთ სხვა ვარიანტები, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც პროფილაქტიკურ, ასევე თერაპევტულ შესაძლებლობებს". რა თქმა უნდა, სასამართლოს ინსპექტორებმა, რომლებიც აგროვებდნენ დოკუმენტებს განაჩენისთვის, ბოლო პუნქტი არ გაითვალისწინეს. სამაგიეროდ, მათ კეთილსინდისიერად შეიტანეს ბრალდების აზრი იმის შესახებ, რომ „ამ დანაშაულის განხილვასა და შესწავლას მთავარი გამომძიებელი, გამოცდილი დეტექტივი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ მოპასუხეს მომავალშიც აქვს მსგავსი დანაშაულებების ჩადენისკენ მიდრეკილება".

ჩემმა იურისტებმა მოამზადეს დამატება, რომელშიც შეკრებილი იყო 48 სხვადასხვა ადამიანისგან შედგენილი ჩემი დახასიათება: ჩემი საშუალო სკოლის დირექტორისგან, ნიუ იორკის შტატის სოციალური აგენტისგან, მოკრივე **შუგარ რეი ლეონარდის** ქვრივისგან, ჩემი დედობილი **კამილასგან**, სპორტული ჰიპნოთერაპევტისგან და ჩემი ექვსი მეგობარი გოგონასგან (და მათი დედებისგან)... მოკლედ ყველასგან, ვინც თვლიდა, როგორი ჯენტლმენი ვიყავი მათთან ურთიერთობაში. ჩემმა ერთ-ერთმა პირველმა მეგობარმა გოგონამ, მოსამართლეს ასეთი წერილიც კი გაუგზავნა: „სამი წელი ველოდი, რომ მისტერ ტაისონთან სექსუალური ურთიერთობისთვის მიმეღწია და მას ერთხელაც არ დაუძალებია ჩემთვის არაფერი. მე მიყვარს მაიკი იმისთვის, რომ ის პატივს სცემს და უყვარს ქალები".

ტაისონი სასამართლო დარბაზში შედის

მაგრამ, რა თქმა უნდა, დონ კინგი არ იქნებოდა დონ კინგი, კიდევ ერთხელ რომ არ გადაემლაშებინა. მას ჰყავდა ღირსი მამა **უილიამ კროკეტი** - ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ეკლესიის კეთილშობილი მისტიკოსების ძველი არაბული ორდენის (ჩრდილოამერიკული პარამასონური საზოგადოება, რომელიც 1870 წელს არის დაარსებული) პირველი საიმპერატორო ცერემონიალური ოსტატი, რომელმაც ჩემთვის წერილი შეადგინა: „გთხოვთ, აპატიოთ მას და არ წაართვათ თავისუფლება. მართალია, მაიკლთან სასამართლოს შემდეგ არ მილაპარაკია, მაგრამ ჩემთვის ცნობილია, რომ აღარ სცოდავს და აღარ ბილწსიტყვაობს, ყოველდღე კითხულობს ბიბლიას, ლოცულობს და სულს იკაჟებს". რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დიდი სისულელე იყო. ის არც კი მიცნობდა.

გარდა ამისა, იყო დონ კინგის პირადი გულშიჩამწვდომი წერილი მოსამართლის მისამართით. მისი წაკითხვის შემდეგ შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს მე გამოვიგონე კიბოს განკურნების წამალი, შევიმუშავე მშვიდობის დამყარების გეგმა ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე გადავარჩინე შიმშილით სიკვდილს და განვკურნე ათასობით ავადმყოფი კატა. ის წერდა, რომ მე ვმუშაობდი საქველმოქმედო ფონდში - „ჩაიფიქრე სურვილი" და ავადმყოფი ბავშვების ხშირი სტუმარი ვიყავი. მან აცნობა მოსამართლე გიფორდს, რომ ყოველ მადლიერების დღეზე, ღარიბებსა და მოშიმშილეებს 40 ათას ინდაურს ვურიგებდით. კიდევ გაიხსენა, რომ შევხვდით **სიმონ ვიზენტალს** (არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე, „ნაცისტებზე მონადირე". მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ნაცისტი დამნაშავეების ძებნას, რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებოდნენ. გარდაიცვალა 2005 წელს, 97 წლის ასაკში) და როგორი აღელვებით შევწირე მსხვილი თანხა მას ნაცისტი მეომარი დამნაშავეების ძებნისთვის. ვფიქრობ, დონს დაავიწყდა ის, რომ კუ-კლუქს-კლანი ისევე ვერ იტანდა ებრაელებს, როგორც ზანგებს.

რვა ფურცელზე დონ კინგი დითირამბებს მიმღეროდა. „ძალიან უჩვეულოა მისი ასაკის ადამიანისთვის, მოყვასის მიმართ მსგავსი მზრუნველობის გამოჩენა. რომ არაფერი ვთქვათ საქმისადმი ერთგულებისა და პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობაზე, რომელიც მაიკს ახასიათებს. მისი ამაღლებული თვისებები, კეთილშობილური სიყვარულის უნარი, მსხვერპლთშეწირვა და უანგარობა. ის ღმერთის შვილია. ერთ-ერთი ყველაზე თბილი, მზრუნველი და მოყვარული ადამიანი, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ მოკრივეებთან ოცწლიანი მუშაობის პერიოდში". ჯანდაბა, დონი უნდა გამოსულიყო სასამართლოზე დასკვნითი სიტყვით ჩემი ადვოკატის ნაცვლად. მაგრამ, **ჯონ სოლბერგი** - დონ კინგის წარმომადგენელი საზოგადოებასთან ურთიერთობაში, მოსამართლე გიფორდისთვის მიწერილ წერილში პირდაპირ საქმის არსზე გადავიდა. „მაიკ ტაისონი - ნაძირალა არ არის", - ხაზს უსვამდა ის.

შესაძლოა, ნაძირალა არ ვიყავი, მაგრამ ქედმაღალი იდიოტი ნამდვილად გახლდით. იმდენად თვითდაჯერებული ვიყავი სასამართლო დარბაზში, რომ შეღავათის მიღების არანაირი შანსი არ მქონდა. განაჩენის გამოტანის დროსაც კი არ ვიყავი თვინიერი. ის ყველაფერი, რაც ამ ქაღალდებზე ეწერა - ფულით ქველმოქმედება, ინდაურები, ხალხის დახმარება, სუსტებსა და უქონლებზე მზრუნველობა - ამ ყველაფერს ვაკეთებდი იმიტომ, რომ თვინიერი გავმხდარიყავი და არა იმიტომ, რომ ასეთი ვიყავი. ძალიან მინდოდა თვინიერი ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემს სხეულში არ იყო არც ერთი შესაბამისი ძვალი.

გია თვალაგეიშვილი
(გაგრძელება იქნება)

ინტერვიუ ზაზა სილაგაძესთან

საქართველოს ბერძენ-რომაელთა ახალგაზრდული ნაკრები

უცხოელები მედლებს გვეხვეწებოდნენ

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენი ბერძენ-რომაელების ტრიუმფალური გამოსვლის შესახებ ჭიდაობის ქომაგმა კარგად იცის, თუმცა მაინც შეგახსენებთ: რვა წონიდან გუნდმა ხუთის ფინალში იჭიდავა და ამდენივე მედალი მოიპოვა, 4 ოქრო და 1 ვერცხლი. მსოფლიოს ჩემპიონები რამაზ ზოიძე (66), გელა ბოლქვაძე (74), ნიკოლოზ კახელაშვილი (96) და ზვიად პატარიძე (120) გახდნენ, ვერცხლს კი ნუგზარ წურწუმია (50) დაეუფლა.

საბედნიეროდ, ამ გუნდისგან მსგავს მასშტაბურ წარმატებებს უკვე მივეჩვიეთ - მათ შარშანაც კარგად იასპარეზეს ევროპისა (6 მედალი) და მსოფლიოს პირველობებზე (4 ჯილდო), ხოლო წლევანდელ ევროპირველობაზე 6 მედალი მოიპოვეს. ბრაზილიური ტურნირის შესახებ გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ამ წარმატებების შემოქმედი **ზაზა სილაგაძე**. აღსანიშნავია, რომ მან არ შეცვალა ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავები შემადგენლობა და მსოფლიოზე უმედლოდ დარჩენილებიც წაიყვანა. იმათგან ერთი ზოიძეა, ოქროს მედლის მფლობელი. მასთან ინტერვიუც ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ.

- როგორც აღმოჩნდა, გაამართლა იმ მიდგომამ, ევროპის მერე გამარჯვებული გუნდი რომ არ შეცვალეთ.

- ევროპის ჩემპიონატზე 8 შესაძლებელიდან 6 მედალი მოვიპოვეთ, დანარჩენებიდან კი გიორგი მელიამ ბრინჯაოსთვის იჭიდავა, ხოლო რამაზ ზოიძე აცრემლებული რომ გამოვიდა შეხვედრიდან, ვუთხარი, შენ მსოფლიოს ჩემპიონი გახდები-მეთქი. თვალები გაუბრწყინდა და ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ის გახდა ჩემპიონი...

იმ შედეგიდან გამომდინარე, შეცვლა არ იქნებოდა გამართლებული. გუნდმა ძალიან დატვირთული შეკრება გაიარა დუშეთში, სადაც ეროვნული ნაკრების წევრებიც დავიხმარეთ, ბრაზილიაში კი ცოტა დავასვენეთ, ლეიბზე შედარებით ნაკლები ვარჯიში ჩავატარეთ, უფრო აღდგენას დავუთმეთ დრო, რამაც გაამართლა.

თუმცა იყო პრობლემებიც. მაგალითად, გელა ბოლქვაძეს ნეკნი სტკიოდა და 2 კვირა არ უვარჯიშია. ამის მიუხედავად, ძალიან ძლიერ მეტოქეებს მოუგო და არავის არაფერი დაუთმო. ტურნირზე ყველა აღნიშნავდა, რომ ევროპისა და მსოფლიოს პირველობა ერთ სეზონში არავის მოუგია. აზერბაიჯანელები, ყაზახები და სხვები მოდიოდნენ, გვილოცავდნენ და აღნიშნავდნენ გუნდის ერთსულოვნებას, ერთი რომ ჭიდაობს, ყველა ქომაგობსო. რუსები გაგიჟებულები იყვნენ. ისინიც და სხვებიც გვეხუმრებოდნენ, დაგვიტოვეთ მედლებიო.

- ევროპის ჩემპიონატიდან ასე მალე კიდევ უფრო ძლიერ ტურნირზე რისი იმედით მიდიოდით, რას გეგმავდით?

- ევროპის ჩემპიონი გუნდისგან წარმატების იმედი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ 4 ოქრო გადაჭარბებული ოპტიმიზმი იქნებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქამდე 3 ოქროც არ ყოფილა და ვფიქრობდით, რომ ეს შედეგი გაგვეუმჯობესებინა. აი, ამას კი ვგეგმავდით.

- თუ საიდუმლო არაა, ვისგან ელოდით ამ ოქროებს?

- ასე არ დავაკონკრეტებ, რადგან ყველასგან ველოდით. აი, მაგალითად, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ირაკლი შავაძე (55) უმედლოდ არ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ წონის პრობლემა აქვს. ლევან ქავჟარაძე (60) დასრულებამდე 7 წამით ადრე იგებდა აზერბაიჯანელ კარიმ ჯალაზოვთან და დასანანად წააგო... იმავე კახელაშვილს ისეთი სტილი აქვს, იქნებ ბევრ ქულას არ აგროვებს, მაგრამ ერთი თავით მაღლა იდგა ყველაზე. ზოიძემ სულაც ჭიდაობის გაკვეთილები ჩაატარა, ისეთი რამეები გააკეთა - ევროპის ჩემპიონს, ვიცე-ჩემპიონსა და მესამე პრიზიორს მოუგო. ძალიან მაგრად იჭიდავა, ყველა გააოცა, ისე იასპარეზა. ყველას დიდი უპირატესობით, დამაჯერებლად მოუგო. მათ შორის - ფინალშიც რუს ახმედ კაციუკოვს.

წურწუმიამ გმირობა ჩაიდინა, იმდენად მოუმატა. როცა წლეულს პირველად ვაჭიდავეთ რიგაში, ის შეჯიბრება წრიული ფორმატით ჩატარდა და ამან სამივე შეხვედრა წააგო, მაგრამ მერე მუშაობამ შედეგი გამოიღო და აგერ, ევროპაზე მესამე იყო, მსოფლიოზე კი ფინალში გავიდა. მაშინ ვისთანაც წააგო რიგაში - უზბეკ იავოკირ მირახმედოვთან, ახლა მოუგო იმას. ასევე დაამარცხა აზერბაიჯანელი და ფინალშიც ირანელთან გაფრთხილება ჯერ იმას მისცეს, მაგრამ შეცვალეს გადაწყვეტილება და ეს გააფრთხილეს. ნუგზარმა იმდენად კარგად იჭიდავა, მთელი დარბაზი ქომაგობდა.

- პატარიძემ როგორ იჭიდავა, გაამართლა „ახალგაზრდა ლომის" მეტსახელი?

- პატარიძემ ფინალში რუსთა შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი სერგეი სემიონოვი დაამარცხა. ეს ორნი ფავორიტებში შედიოდნენ, თუმცა უცხოელ მწვრთნელთა უმეტესობა მოგებას სემიონოვს უწინასწარმეტყველებდა. ეგონათ, რომ ის მოიგებდა, რადგან 23-ლიანთა შორის ევროპის ჩემპიონიცაა, მაგრამ ამან ისეთი შტურმი მოუწყო, ისე ეჭიდავა, გასაქანი არ მისცა. უმატა და უმატა ტემპს და საბოლოოდ დაღალა, გათიშა მეტოქე. სემიონოვის კოზირია, რომ პირველ წუთნახევარში გააკეთოს გდება. პატარიძე დავარიგეთ, რომ როგორმე თავიდან ეს ორი წუთი გაეძლო, რაც გააკეთა კიდეც, ხოლო მეორე პერიოდში სულ უფრო აქტიურად ეჭიდავა და დამაჯერებლად მოუგო.

- თქვენ ვის ჭიდაობას გამოარჩევთ, დავალებები, დასახული მიზნები ვინ შეასრულა ყველაზე უკეთ?

- ყველა მედალოსანმა ზუსტად შეასრულა დავალებები, თუმცა ვერც სხვებს ვუსაყვედურებ. მაგალითად, ქავჟარაძის წაგება საცოდაობა იყო, ისეთებს მოუგო. ასევე მელიამაც ძალიან ძლიერი ჯგუფი გაიარა. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რადგან მათ ორივეს მეტი შეეძლო. შავაძეზე გითხარით, რომ წონის პრობლემა აწუხებდა, თორემ მეტი მიზეზი არ აქვს. ამ ბიჭმა ევროპის პირველობაზეც დაიკლო და ახლაც. ამიტომ ვერ იჭიდავა კარგად. ის გაისად აუცილებლად შეიცვლის წონას. ალბათ, 60 კილოგრამში გამოვა, იმასაც თუ არ გადაახტა.

- უცხოელთა გამოხმაურება როგორი იყო?

- ყველა ერთხმად აღნიშნავდა ჩვენს კარგ ჭიდაობას. მთელი ნაკრებები, მწვრთნელები მოდიოდნენ და გვილოცავდნენ. როგორც გითხარით, გვეხუმრებოდნენ, ცოტა მედლები დაგვიტოვეთო. თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, რუსეთი - ერთ სეზონში მსოფლიო და ევროპა ერთად ამ დონის გუნდებსაც არ მოუგიათ.

- გაისად ამ გუნდს თაობათა ცვლის პროცესი რამდენად შეეხება?

- ბოლქვაძე და კახელაშვილი უფროსებში გადადიან, დანარჩენები კი რჩებიან, ოღონდ წურწუმიას და პატარიძის გარდა, სავარაუდოდ, სხვები წონით კატეგორიებს შეიცვლიან. შავაძე რომ გადაწყვეტილია, უკვე გითხარით და დიდი ალბათობით, ზოიძეც სხვა წონაში გადავა.

- ოლიმპიადამდე რაღა დარჩა, მაგრამ თქვენი აზრით, ამ გუნდიდან მოასწრებს ვინმე ოლიმპიურ გუნდში მოხვედრას?

- ცოტა ძნელი სათქმელია. ისე კი ბოლქვაძე საქართველოს თასზე მეორეზე გავიდა, კახელაშვილი საქართველოს ჩემპიონი გახდა და დეკემბერში საქართველოს თასზე ექნება პრეტენზია. ბოლქვაძეც გამოვა იქ და ვნახოთ, რას იზამს. პატარიძემაც შეივსო წონა 120 კილოგრამამდე. ზოიძეც გასათვალისწინებელია. მას წლეულსაც უნდოდა უფროსებში გამოსვლა, მაგრამ რაკი წონას იკლებდა, არ გავუშვით, რადგან ახალგაზრდებში მსოფლიო ჰქონდა საჭიდაო და წონის ორჯერ დაკლება დააზარალებდა. ამ ტურნირმა აჩვენა, რომ სწორად მოვიქეცით.

ჟიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი

ნაკრები ასტანისკენ დაიძრა

24-30 აგვისტოს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჟიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც საქართველოს ვაჟთა ნაკრები არასრული შემადგენლობით იასპარეზებს.

პირად პირველობაში მონაწილე არ გვეყოლება ორ წონაში 66-სა და 100-ში, დანარჩენებში კი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ამირან პაპინაშვილი** (60), ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი**, ევროპის ორგზის ფინალისტი და ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** (ორივე - 73), ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ევროპული თამაშების ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი**, **უშანგი მარგიანი** (81), ევროპის ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ევროპული თამაშების ფინალისტი **ვალერი ლიპარტელიანი**, **ბექა ღვინიაშვილი** (90), ევროპისა და ევროპული თამაშების ჩემპიონი **ადამ ოქრუაშვილი** და **ლევან მატიაშვილი** (+100), გუნდურში კი მათ **ვაჟა მარგველაშვილი** (66) დაემატებათ. ქალთა ტურნირში ერთი მონაწილე გვეყოლება - **ესტერ სტამი** (70).

ასტანაში შეჯიბრების განრიგი ასეთია: 23 აგვისტოს იქაური დროით 14 საათზე წილისყრა გაიმართება, პირველ საშეჯიბრო დღეს - 24-ში კი ვაჟებიდან 60, ხოლო ქალებიდან 48 კილოგრამის ათლეტები იჭიდავებენ. ამის შემდეგ 27 აგვისტოს ჩათვლით ასე თითო წონის წარმომადგენლები იასპარეზებენ ანუ, შესაბამისად, ტატამზე გავლენ 66-52, 73-57 და 81-63-ის ჟიუდოისტები. მომდევნო ორ დღეს უკვე 3-3 წონას ვიხილავთ: 28-ში ვაჟებიდან 90, ქალებიდან კი 70-78-ის წარმომადგენლებს, ხოლო 29-ში ორი წონა უკვე „ძლიერ სქესს" ეყოლება - 100 და +100, ქალებიდან კი მხოლოდ +78 იქნება დარჩენილი. 30 აგვისტო გუნდურ პირველობას დაეთმობა.

ჩვენი ნაკრები ასტანაში ორ ჯგუფად გაემგზავრება. პირველი ნაწილი დღეს, საღამოს 19 საათზე გაფრინდება პირდაპირი რეისით ასტანაში, ამ ჯგუფში კი ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელებთან ერთად პაპინაშვილი, ტატალაშვილი, შავდათუაშვილი, ჭრიკიშვილი და მარგიანი შედიან. დანარჩენები თბილისში გააგრძელებენ მომზადებას **გიორგი გუგავას** და **გიორგი ბაინდურაშვილის** ხელმძღვანელობით, ყაზახეთში კი 22-ში გაემგზავრებიან. რაც შეეხება ესტერ სტამს, ის ჰოლანდიაში ემზადება და ასტანაშიც იქიდან გადაფრინდება.

ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი დასკვნითი შეკრება ლიკანში გაიარა, სადაც კარგ პირობებში ემზადებოდნენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** კმაყოფილია გუნდის მომზადებით და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით. ამ კუთხით სერიოზული პრობლემები მართლაც არაა, თუმცა არის პატარ-პატარა ტრავმები. ოლიმპიური გუნდის ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილის** ინფორმაციით, ყველაზე პრობლემური მაინც მარგიანის და ლიპარტელიანის მდგომარეობაა, თუმცა მაინც არაა ისე საგანგაშო და მძიმე, როგორიც თუნდაც პირველ ევროპულ თამაშებზე იყო.

მარგიანს ისევ ფეხის ძველი ტრავმა აწუხებს და კვლავ გამაყუჩებლებით იჭიდავებს. ლიპარტელიანს იაპონიაში ნატკენი ბარძაყის კუნთი ისევ დასჭიმვია და ბოლო ორი დღე სრულად ვერ ივარჯიშა, საკონტროლო შეხვედრები ვერ ჩაატარა. სავარაუდოდ, მასაც ნემსი დასჭირდება, თუმცა კახაბრიშვილი ვითარებას საგანგაშოდ მაინც არ მიიჩნევს. მცირე ტრავმა აწუხებს პაპინაშვილსაც, მაგრამ არა სერიოზული. საბედნიეროდ, 73-ის და მძიმე წონების ფალავნები ტურნირს ზედმეტი გართულებების გარეშე ხვდებიან, ოქრუაშვილს კი კიდევ 6 კილოგრამი დაუკლია, რაშიც დიდია გუნდის ექიმ **დიმიტრი ბაღათურიას** დამსახურება. ჭრიკიშვილიც ჯანზეა და ლიკანში ერთი სპარინგ-შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურთანაც** კი ჩაუტარებია, რომელსაც ნაკრები შეკრებაზე მოუნახულებია. მსოფლიოს ჩემპიონატს სერიოზული გართულებების გარეშე ხვდებიან ღვინიაშვილი და მარგველაშვილიც.

ლიკანში საწვრთნელ შეკრებაზე

თავისუფალი ჭიდაობა

კენჭაძემ ბრინჯაო დაკარგა

სამწუხაროდ, **ავთანდილ კენჭაძემ** (66) დაკარგა ბრინჯაოს მოპოვების შანსი და მეხუთე ადგილზე დარჩა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური კვირა საღამოს ბრაზილიურ სალვადორში მიმდინარე ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობდა, მაგრამ რუს **ზაურბეკ სიდაკოვთან** 4:9 წააგო.

კენჭაძე ევროპის წლევანდელი პირველობის მესამე პრიზიორია, მანამ კი ეროვნულ ნაკრებში პირველ ევროპულ თამაშებზეც იჭიდავა, მაგრამ უფროსებთან ვერაფერს გახდა.

ამდენად, ბრაზილიაში ჩვენმა ნაკრებმა ერთი ბრინჯაოთი დაასრულა გამოსვლა, რომელიც **ტარზან მაისურაძემ** (74) მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

● წყალბურთი

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები

შეკრებაზე ჩერნოგორიაში

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა წლეულს თებერვალში 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი რაუნდის სამი შეხვედრა შინ გამართა: პორტუგალიას და შვეიცარიას მოუგო, სლოვაკეთთან კი დამარცხდა. მეორე რაუნდი 9-11 ოქტომბერს ისრაელში გაიმართება. ჩვენები მასპინძლებს, ლიტვას და ჰოლანდიას დაუპირისპირდებიან. საკვალიფიკაციო ეტაპის 16 გუნდიდან რვა საუკეთესო ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს. მედლებისთვის 2016 წლის იანვარში 18 გუნდი იბრძოლებს. საქართველოს წყალბურთელებს რეალური შანსი აქვთ, მეორედ მოხვდნენ ფინალურ ეტაპზე.

მომდევნო პაექრობებისთვის ჩვენი ბიჭები მონდომებით ემზადებიან. გუშინ საქართველოს ნაკრები (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, გიორგი მაგრაქველიძე, ბექა ქავთარაძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ზურაბ ჩიკვაიძე, ხვიჩა ჯაბხაია, გიორგი ხვედელიანი, ვაჟა ფურცელაძე, ზურაბ რურუა, ალექსანდრე რუსიშვილი, მიხეილ ბაღათურია, კონსტანტინე გეგელაშვილი, ლევან ჩიქვინიძე, მთავარი მწვრთნელი იოანე პოპოვიჩი, მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მსაჯი ირაკლი კიკალიშვილი) ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრების გასავლელად ჩერნოგორიას გაემგზავრა, სადაც ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებსაც გამართავს ადგილობრივ „იადრანთან“, მოსკოვის „დინამოსა“ და კირიშის გუნდთან.

4-6 სექტემბერს თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული, შინ ჩემპიონთა ლიგის სამ მატჩს ჩაატარებს. 11-13 სექტემბერს თბილისი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. სავარაუდოდ, ამ ასპარეზობისთვის საქართველოს ნაკრებს შემოუერთდებიან უნგრეთის გუნდში მოთამაშე რეზი იმნაიშვილი, „ბარსელონის“ წევრი ანდრია ბითაძე და ნატურალიზებული წყალბურთელები - მარკო ელაჩა, მარკო ელეზი და დამირ ცრეპულია.

● ჩოგბურთი

სტარტი ფინიშად ექცა

ცინცინატში ჩოგბურთელ ვაჟთა მასტერსზე (საპრიზო ფონდი 4.457.065 დოლარი) ძალებს ცდიდა თბილისელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე ქართველმა ჩოგბურთელმა თურქ მარსელ ილჰანს პირველი ხელი მოუგო 6:4, მაგრამ მომდევნო ორი დათმო - 4:6, 6:7 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

წინა კვირას **ალექსანდრე მეტრეველი** და **გიორგი ჯავახიშვილი** მინსკის 15.000-იან ტურნირში მონაწილეობდნენ. ისინი ამჯერადაც ბელარუსის დედაქალაქში იმყოფებიან. ჯავახიშვილმა საკვალიფიკაციო რაუნდში ორ მეტოქეს სძლია - გზიდან ჩამოიშორა ბენჟამინ პიეტრი (საფრანგეთი, 6:2, 6:1), დანილო ვერემეიჩუკი (უკრაინა, 6:4, 6:1) და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. აქ პირველ წრეში მასპინძელ ივან ლიუტარევიჩთან გაარკვევს ურთიერთობას. წყვილებში ჯავახიშვილი დმიტრო ბადანოვთან (უკრაინა) ერთად შეჯიბრებაზე „ველური ბარათით“ მიწვეულ ბელარუსებს - ალექსანდრ ლიაონენკას და მაქსიმ ზუბკოუს დაუპირისპირდება.


ნიკოლოზ ბასილაშვილი

მინსკის ტურნირის სტარტზევე დამარცხდა ალექსანდრე მეტრეველი - ჩვენებურმა გუშინ არტურ დუბინსკისთან (ბელარუსი) დათმო შეხვედრა - 4:6, 6:7.

იზმირში ქალთა 10.000-იან ტურნირში ჩაებნენ **თამარ ჭალაგანიძე** და **ლანა კენჭიაშვილი.** საკვალიფიკაციო ეტაპის პირველსავე შეხვედრაში კენჭიაშვილი რუს ელენა ბელენოვასთან დამარცხდა - 0:6, 6:4, 1:6. ლანამ ვერც წყვილებში იყოჩაღა - მასპინძელ დოგა სელენ ტაკუნიაკთან ერთად გერმანელების - ნორა ნიედმერსისა და იულია ვოჩაჟიკის დუეტთან წააგო ორთაბრძოლა - 2:6, 0:6. რაც შეეხება ჭალაგანიძეს, ერთეულთა თანრიგში იგი დღეს მეორე ნომრად განთესილ ბულგარელს - იულია სტამატოვას გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში ჩინელ იუენ ლისთან ერთად სტარტზე ზეიპეკ კაკისერი და ჰაზალ კარაალილერი (ორივე - თურქეთი) ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 6:1. მეოთხედფინალში რუსებს - ვასილისა არონაშენკოსა და ელენა ბელენოვას შეხვდება, რომლებმაც მასპინძლებს - ჰულია და ლუტფი ესენებს აჯობეს - 6:4, 6:7, 10:3.

აქვე ერთი კვირის წინანდელი შედეგების გათვალისწინებით ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის განახლებულ რეიტინგში ქართველთა საკლასიფიკაციო მდგომარეობას გაგაცნობთ:

ერთეულები. 250 (250). **სოფიო შაფათავა** (178), 388 (388). **სოფიო ქვაცაბაია** (84), 398 (376). **ეკატერინე გორგოძე** (81), 519 (520). **ოქსანა კალაშნიკოვა** (47), 593 (569). **მარიამ ბოლქვაძე** (37), 953 (953). **თინათინ ყავლაშვილი** (10), 1049 (1044). **თამარ ჭალაგანიძე** (8), 1130 (1131). **მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (5), 1232 (1192). **თამარ კუტუბიძე** (3).

წყვილები. 80 (80). კალაშნიკოვა 91026), 174 (174). გორგოძე 9373), 188 (187). შაფათავა 9336), 351 (247). ქვაცაბაია (141), 725 (718). ბოლქვაძე (35), 1027 (1026). ყავლაშვილი (12), 1153 (1143). ჭალაგანიძე 98), 1245 (1238). კუტუბიძე (3).

● თარიღი

11 წლის წინათ, 18 აგვისტოს

დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება 2004 წლის 18 აგვისტო - ამ დღეს ქართველმა ძიუდოისტმა **ზურაბ ზვიადაურმა** ოლიმპიური თამაშების პირველი ოქროს მედალი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. მქონდა ბედნიერება, თავად შევსწრებოდი ამ სასიამოვნო წუთებს ათენის „ანო ლიოსიას“ დარბაზში. ალბათ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გაკვალული იმ გზის გახსენება.

ზურაბ ზვიადაურმა ბავშვობის წლები ახმეტაში გაატარა, ჭიდაობას ძმებმა აზიარეს, მერე გუგული აბრამიშვილი ავარჯიშებდა. საფრანგეთში კადეტთა ევროტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა, 15 წლისამ უფროსების საქართველოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის - შოთა ხაბარელის ინიციატივით თბილისში გადმოიყვანეს. წარმატებებმაც მას შემდეგ იმრავლა. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებთან ერთად გუნდურში ორჯერ (2002, 2003 წ.წ.) ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, პირად პირველობაში კი 2002 წელს მესამე იყო. იმავე წელს გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლის მედალი ერგო. ახალგაზრდებში 2000 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა 2001 და 2003 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეორე ადგილები დაიკავა. ასე რომ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოცდილ და ტიტულოვან ფალავნად ჩავიდა. პირველ მეტოქედ ევროპის 2004 წლის ჩემპიონი იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე ერგო. აპენინელი ტატამზე საკმაოდ თავდაჯერებული გავიდა. ეტყობა, კონტინენტის პირველობაზე სახელოვანი მოჭიდავეების ძლევამ გაათამამა. არც ქართველს ეტყობოდა აღელვება. ორჯერ ჰყავდა დამარცხებული იტალიელი, მაგრამ ეს იყო ორი წლის წინათ. მას შემდეგ ლეპრე დაოსტატდა, უხერხული მოწინააღმდეგე შეიქნა ფავორიტებისთვის. ახლაც, ორ-სამჯერ სარმის გამოდება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. აი, ზვიადაურმა კი დრო იხელთა, კისრულით გადმოიღო ჩემპიონი და ისე დაახეთქა ტატამზე, რომ წამოდგომა გაუჭირდა. ქართველმა ფალავანმა მხოლოდ 48 წამი მოანდომა ამ გამარჯვებას.

მეორე წრეში რუსეთის წარმომადგენელ ხასამბი ტაოვს დაუპირისპირდა. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა 2013 წლის კონტინენტის პირველობაზე სძლია ზვიადაურს, ამიტომ ზურაბს მასთან ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. ფრთხილობდნენ მეტოქეები, პასიური ჭიდაობისთვის მსაჯებისგან თითო შენიშვნაც მიიღეს. ბოლო წუთზე ზვიადაური გააქტიურდა და ორთაბრძოლის დამთავრებამდე 44 წამით ადრე ლამაზი გდებით წარმატებას მიაღწია.

ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე ზვიადაურს მსოფლიოს ექსჩემპიონი და სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ფრედერიკ დემონფოკო გადაეღობა, სწორედ ის ფრანგი, 2001 წელს მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ოქროს მედალი რომ „აართვა“. ხუთწუთიანი პაექრობა უშედეგოდ დასრულდა (მეტოქეებმა თითო გაფრთხილება მიიღეს, თანაც ფრანგმა - შეხვედრის დამთავრებამდე 6 წამით ადრე). დამატებითი დროის მე-2 წუთზე ზვიადაურმა მომგებიანი ქულა მიითვალა და მომდევნო ეტაპზეც გავიდა. ნახევარფინალში ინგლისელ ვინსტონ გორდონთან ზურაბმა 3 წუთსა და 55 წამში მოამთავრა საქმე. მეორე ნახევარფინალში იაპონელმა ჰიროში იზუმიმ 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ჰი ტაე ჰვანგს (კორეა) სძლია. გადამწყვეტი პაექრობა 3 წუთსა და 3 წამს გაგრძელდა. ქართველმა ფალავანმა ბეჭებით გააკრა მეტოქე ტატამს, წამით გაირინდა ზეამართული საჩვენებელი თითით და მზერა მოავლო გადატენილ ტრიბუნებს, თითქოს ვიღაცას ეძებსო.

- 2001 წელს მიუნხენში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ფრანგ ფრედერიკ დემონფოკოსთან წავაგე, 2003 წელს კი კორეელ ჰი-ტაე ჰვანგთან პაექრობაში დავთმე ოქროს მედალი. არადა, ორივე შეხვედრა მოსაგები მქონდა, - მითხრა დაჯილდოების შემდეგ ზურაბ ზვიადაურმა. - ორ ფინალში მარცხის შემდეგ მესამის დათმობის უფლება არ მქონდა. ბედნიერი ვარ, რომ ათენის ტატამზე ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ჩემპიონობა მოვიპოვე. ერთადერთი ლეპრესთან გამარჯვება არ გამჭირვებია, დანარჩენი შეხვედრები ძალიან დაძაბული იყო. დემონფოკო ჭიდაობის იმიტაციას ქმნიდა, თორემ სინამდვილეში ორთაბრძოლას გაურბოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსაჯებმა გამაფრთხილეს. კიდევ კარგი, რომ არბიტრები გონგამდე 6 წამით ადრე მიუხვდნენ და გააფრთხილეს.

- ფინალურ ორთაბრძოლასა და ზეაღმართულ საჩვენებელ თითზე რას იტყვი?


ზურაბ ზვიადაური

- 2002 წელს იაპონიაში იზუმისთან ძიგარო კანოს მემორიალზე დავმარცხდი, მაგრამ ის ჩვეულებრივი ტურნირი იყო, აქ კი - ოლიმპიური თამაშების ფინალი. უკვე გითხარით, რომ მესამე ფინალში დამარცხებას არ ვაპირებდი. იაპონელმა ერთ-ერთ მომენტში გარესარმა სცადა. ამ დროს საოცარი ძალა ვიგრძენი, დრო ვიხელთე, ფეხიდან ავიყვანე და ბეჭებით ტატამს გავაკარი. რაც შეეხება ზეაწეულ საჩვენებელ თითს, ვინც იმ დღეს მიყურებდა, იმ ჟესტით მათ ვუთხარი - ეს ერთი და სხვა მრავალი-მეთქი. ეს იყო ჩემი ემოციის გამოხატვაც. ბავშვობიდან მიმაჩვიეს საკუთარი თავის მოთოკვას - ჩემი მამიდაშვილი თემურ შეთეკაური, რომელიც ფინალის დღეს სპეციალურად ჩამოფრინდა ესპანეთიდან ათენში, ყოველთვის მეუბნებოდა, მოგების სიხარული ზედმეტად არ გამოხატო, ვინმემ ცუდად არ გაიგოსო. ჰოდა, მეც მივეჩვიე. მართალია, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარს გარეგნულად არაფერი მემჩნეოდა, მაგრამ გენახათ, გულში რა ტრიალებდა. ოლიმპიური ჩემპიონობა ხომ უდიდესი ბედნიერებაა. ჩემი გამარჯვება მთელ საქართველოს ეკუთვნის, რადგან ზვიადაურის ჩემპიონობა ქართული გენის ძალის წარმოჩინებაა...

იმ დაუვიწყარი დღიდან 11 წელი მიილია, მაგრამ 2004 წლის აგვისტო და ზურაბ ზვიადაურის ის გამარჯვება, დარწმუნებული ვარ, ყველას გუშინდელივით ახსოვს.

● ჭადრაკი

გამარჯვებულებს 1.5 ქულით ჩამორჩა

რიგაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. დიდოსტატმა **მერამ გაგუნაშვილმა** ცხრა შეხვედრიდან ოთხი მოიგო, ამდენივე ყაიმით დაასრულა და ერთი პარტია დათმო, 6 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ 38-ე ადგილისთვის ეყო. **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა** ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა და 55-ე ადგილზე გავიდა.

ტურნირის რეიტინგფავორიტები იყვნენ მასპინძლები - ალექსეი შიროვი (2702) და იგორ კოვალენკო (2702), რომლებმაც ბოლო ტურში, შესაბამისად, ტალ ბარონსა (ისრაელი) და დამ ზისკას (ფარერები) სძლიეს, ხოლო ერთპიროვნული ლიდერი რობერტ ჰოვანისიანი (სომხეთი) თანამემამულე ჰრანტ მელქუმიანს დაუზავდა. საბოლოოდ ცხრა შესაძლებლობიდან 7.5 ქულით პირველი ადგილი შიროვმა დაიკავა, ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მეორე იყო ჰოვანისიანი, 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები რინატ ჯუმაბაევმა (ყაზახეთი) და კოვალენკომ გაიყვეს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

16-წლამდელთა ნაკრები

ბითაძე საუკეთესო ცენტრია

გოგა ბითაძე

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი („ბ“ დივიზიონი) მეხუთე ადგილზე დაასრულა. ჩვენმა ბიჭებმა დაამარცხეს სლოვენია, ბელგია, უნგრეთი, ბელარუსი... მოკლედ, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ბიჭებმა 9-დან 6 შეხვედრა მოიგეს, რაც უთუოდ დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ქართველ კადეტებს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებამდე ცოტა დააკლდათ. ელიტის საგზურები ტურნირის 3 საუკეთესო გუნდს - ესტონეთს, პოლონეთს და შვედეთს ერგოთ.

საქართველოს ნაკრების წარმატებები გუნდურობის შედეგია, თუმცა ორგანიზატორებმა ჩვენი გუნდიდან **გოგა ბითაძე** გამოარჩიეს. 210 სმ სიმაღლის ქართველი კალათბურთელი ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში - რა თქმა უნდა, ცენტრის პოზიციაზე შევიდა. შესაბამისად, გოგა ბითაძე ბულგარეთში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის საუკეთესო ცენტრი გახდა.

აკაკი ფიფია

ბითაძემ ბულგარულ ტურნირზე 9 მატჩი გამართა და საშუალოდ 14.2 ქულას, 8.9 მოხსნას, 3.7 დაფარებას და 1.8 პასს ითვლიდა. ქართველი ცენტრი 44-პროცენტიანი სიზუსტით ესროდა ორქულიანებს, ხოლო პერიმეტრსმიღმიდან მთლიანობაში 18 ბურთი სტყორცნა და 6 ჩააგდო. ბითაძისთვის ეს იყო ბოლო 16-წლამდელთა ჩემპიონატი. მომავალი წლიდან ის 18-წლამდელთა ნაკრებში გადაინაცვლებს.

საშუალოდ 10-ზე მეტი ქულა ჰქონდათ **აკაკი ფიფიასა** და **ზაურ ჯანელიძეს**. პირველი 11.2 ქულას აგროვებდა, მეორე - 10.2 ქულას. შედეგიან გადაცემებში ლიდერობა მეგობრულად გაიყვეს **ნიკა ყირიმელმა** და **ბერდია ქავთარაძემ**. ორივეს 3.7-3.7 პასი ჰქონდა. ამ მაჩვენებლით მათ მერვე-მეცხრე ადგილები გაიყვეს საერთო ჩათვლაში.

აკაკი ფიფია ლიდერთა შორის მესამე იყო სამქულიანი ტყორცნების რეალიზებაში. მან 32-დან 13 სამიანი ჩააგდო, რაც 40.6 პროცენტია.

ერთ კომპონენტს კი ქართველი ლიდერი ჰყავდა: დაფარებში ყველას აჯობა გოგა ბითაძემ. იგი საშუალოდ 3.7 ბლოკ-შოტს რომ აგროვებდა ზემოთ უკვე მოგახსენეთ. გოგამ სლოვენიასთან 9 დაფარება მიითვალა, რაც ერთი მატჩის მიხედვით სარეკორდო მაჩვენებელია.

3X3 კალათბურთი

სოხუმის რუმინული...

3X3 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონმა „სოხუმმა“ რუმინეთში, წარმომადგენლობით ტურნირზე ღირსეულად იასპარეზა. სოხუმელებმა აღნიშნულ საერთაშორისო ტურნირზე თამაშის უფლება საქართველოს ჩემპიონობის მოგებით დაიმსახურეს.

გუნდში გამგზავრების წინ ცვლილება მოხდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელმა **კოტე ტულუშმა** ვერ მოახერხა რუმინეთში გამგზავრება. იგი გამოცდილმა **დავით ბარბაქაძემ** ჩაანაცვლა. მის გარდა რუმინეთში ითამაშეს **ვახტანგ ქადარიამ, ბექა გოლეთიანმა** და **ბუბა ბერიშვილმა**.

ბუქარესტის ტურნირზე თავი სხვადასხვა ქვეყნის 16-მა გუნდმა მოიყარა. ქართველები ჯგუფში სერბულ, რუმინულ და ირლანდიურ გუნდებთან მოხვდნენ. პირველი მატჩის სერბებთან წაგების შემდეგ ქართველებმა ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ირლანდიელები და რუმინელები. განსაკუთრებით დრამატული მასპინძლებთან მატჩი გამოდგა, რომლის ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წამით ადრე სოხუმელები 2 ქულით ჩამორჩებოდნენ, თუმცა გათანაბრება და შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა მოახერხეს, სადაც გამარჯვება და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს.

პლეი ოფში ქართველების მეტოქე მომავალი ფინალისტი ესპანეთის გუნდი გახლდათ. „სოხუმმა“ მეტოქეს არაფერი დაუთმო და თანაბრად ეთამაშებოდა. თუმცა ბოლო 3 წუთში მალაგელებმა მოახერხეს ქართველების გატეხვა და 21:12 იმარჯვეს. ესპანურმა გუნდმა ნახევარფინალში მეორე რუმინული გუნდიც დაამარცხა და ფინალში სოხუმელთა თანაჯგუფელ სერბებს შეხვდა. დაძაბული საჩემპიონო ჯახი ბელგრადელებმა 20:18 მოიგეს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ნიკა ყირიმელი

ჯამი

მოთამაშე	თ	წთ	თ.ტ.	%	2ქ	%	3ქ	%	1ქ	%	მ.შ.	მ.დ.	მ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ფ.მ.	ქ
ბითაძე	9	269	51/121	42.1	45/103	43.7	6/18	33.3	20/37	54.1	18	62	80	17	24	9	33	21	37	128
ფიფია	9	193	37/76	48.7	24/44	54.5	13/32	40.6	14/24	58.3	4	19	23	11	8	13	3	7	22	101
ჯანელიძე	9	234	40/87	46.0	40/85	47.1	0/2	0.0	12/22	54.5	24	40	64	11	16	8	2	15	20	92
ჩეჩელაშვილი	9	216	38/67	56.7	33/46	71.7	5/21	23.8	4/7	57.1	6	22	28	13	22	14	4	25	14	85
ალავიძე	9	166	17/43	39.5	12/22	54.5	5/21	23.8	8/12	66.7	5	20	25	15	19	4	0	12	13	47
ყირიმელი	9	196	16/44	36.4	11/19	57.9	5/25	20.0	6/15	40.0	8	19	27	33	25	15	2	15	22	43
მეცხვარიშვილი	9	150	14/31	45.2	14/29	48.3	0/2	0.0	8/13	61.5	27	22	49	5	15	6	5	10	10	36
ქავთარაძე	9	149	5/28	17.9	2/9	22.2	3/19	15.8	7/10	70.0	1	22	23	33	24	9	2	17	14	20
გაფრინდაშვილი	9	81	7/22	31.8	6/16	37.5	1/6	16.7	4/6	66.7	2	4	6	1	10	1	0	12	4	19
პერტაია	6	42	6/14	42.9	3/7	42.9	3/7	42.9	1/2	50.0	1	9	10	5	4	5	0	5	3	16
თავხელიძე	5	51	6/13	46.2	6/12	50.0	0/1	0.0	0/0	0.0	9	15	24	1	9	3	0	6	3	12
მამალაძე	6	56	2/11	18.2	0/3	0.0	2/8	25.0	1/2	50.0	3	10	13	2	2	3	1	7	3	7
ჯამი	9		239/557	42.9	196/395	49.6	43/162	26.5	85/150	56.7	121	287	408	147	186	90	52	152	165	606

საშუალოდ

მოთამაშე	თ	წთ	თ.ტ.	%	2ქ	%	3ქ	%	1ქ	%	მ.შ.	მ.დ.	მ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ფ.მ.	ქ
ბითაძე	9	29.9	5.7/13.4	42.1	5.0/11.4	43.7	0.7/2.0	33.3	2.2/4.1	54.1	2.0	6.9	8.9	1.9	2.7	1.0	3.7	2.3	4.1	14.2
ფიფია	9	21.4	4.1/8.4	48.7	2.7/4.9	54.5	1.4/3.6	40.6	1.6/2.7	58.3	0.4	2.1	2.6	1.2	0.9	1.4	0.3	0.8	2.4	11.2
ჯანელიძე	9	26.0	4.4/9.7	46.0	4.4/9.4	47.1	0.0/0.2	0.0	1.3/2.4	54.5	2.7	4.4	7.1	1.2	1.8	0.9	0.2	1.7	2.2	10.2
ჩეჩელაშვილი	9	24.0	4.2/7.4	56.7	3.7/5.1	71.7	0.6/2.3	23.8	0.4/0.8	57.1	0.7	2.4	3.1	1.4	2.4	1.6	0.4	2.8	1.6	9.4
ალავიძე	9	18.4	1.9/4.8	39.5	1.3/2.4	54.5	0.6/2.3	23.8	0.9/1.3	66.7	0.6	2.2	2.8	1.7	2.1	0.4	0.0	1.3	1.4	5.2
ყირიმელი	9	21.8	1.8/4.9	36.4	1.2/2.1	57.9	0.6/2.8	20.0	0.7/1.7	40.0	0.9	2.1	3.0	3.7	2.8	1.7	0.2	1.7	2.4	4.8
მეცხვარიშვილი	9	16.7	1.6/3.4	45.2	1.6/3.2	48.3	0.0/0.2	0.0	0.9/1.4	61.5	3.0	2.4	5.4	0.6	1.7	0.7	0.6	1.1	1.1	4.0
პერტაია	6	7.0	1.0/2.3	42.9	0.5/1.2	42.9	0.5/1.2	42.9	0.2/0.3	50.0	0.2	1.5	1.7	0.8	0.7	0.8	0.0	0.8	0.5	2.7
თავხელიძე	5	10.2	1.2/2.6	46.2	1.2/2.4	50.0	0.0/0.2	0.0	0.0/0.0	0.0	1.8	3.0	4.8	0.2	1.8	0.6	0.0	1.2	0.6	2.4
ქავთარაძე	9	16.6	0.6/3.1	17.9	0.2/1.0	22.2	0.3/2.1	15.8	0.8/1.1	70.0	0.1	2.4	2.6	3.7	2.7	1.0	0.2	1.9	1.6	2.2
გაფრინდაშვილი	9	9.0	0.8/2.4	31.8	0.7/1.8	37.5	0.1/0.7	16.7	0.4/0.7	66.7	0.2	0.4	0.7	0.1	1.1	0.1	0.0	1.3	0.4	2.1
მამალაძე	6	9.3	0.3/1.8	18.2	0.0/0.5	0.0	0.3/1.3	25.0	0.2/0.3	50.0	0.5	1.7	2.2	0.3	0.3	0.5	0.2	1.2	0.5	1.2
ჯამი	9		26.6/61.9	42.9	21.8/43.9	49.6	4.8/18.0	26.5	9.4/16.7	56.7	13.4	31.9	45.3	16.3	20.7	10.0	5.8	16.9	18.3	67.3

შენიშვნა: *თ - თამაში, წთ - წუთი, თ.ტ. - თამაშიდან ტყორცნა, 2ქ - ორქულიანი, 3ქ - 3-ქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ.შ. - მოხსნა შეტევაში, მ.დ. - მოხსნა დაცვაში, მ - მოხსნა სულ, პ - პასი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, ფ.მ. - ფოლი მეტოქეს, ქ - ქულა.*

● რაგბი. ფავორიტები

გალისიელი მამლები

ფრანგული რაგბი ერთ-ერთი ყველაზე მახლობელია ქართველი ქომაგებისთვის. ჩვენი რაგბის განვითარებაში ამ ქვეყანას, მის კლუბებს ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი. სანამ დამოუკიდებელი საქართველოს რაგბის ისტორიას გავიხსენებდეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფრანგები არაერთხელ წვევიან თბილისს ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში და მათგან ბევრ რამეს ვსწავლობდით.

ფრანგული რაგბი იმ პერიოდში ერთგვარი რომანტიკა იყო რაგბის ქართველი გულშემატკივრებისთვის. ისინი (ფრანგები), თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დახვეწილ, სანახაობრივად ძალიან ლამაზ რაგბის თამაშობდნენ. სწორედ მათმა ბურთაობამ შეაყვარა არაერთ ქართველს ოვალური ბურთით თამაში.

ამის გარდა, რაგბის პირველი გუნდი 1959 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწორედ საფრანგეთიდან იმიგრირებულმა თერძმა ჟაკ ჰასპეკიანმა დააარსა. ათწლეულების შემდეგ კი პირველი დიდი წარმატება „ბორჯღალოსნებს“ ფრანგმა გურუმ კლოდ სორელმა მოუტანა. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა პირველად მოიპოვა 2003 წლის მსოფლიოს თასის საგზური. სწორედ სორელმა გააცნო ფრანგული კლუბების მწვრთნელებსა და მეპატრონეებს ქართველი მორაგბეები, რომელთა რიცხვიც ამ ქვეყანაში დღემდე ყოველწლიურად იზრდება. სწორედ იქ ოსტატდებიან ჩვენი ბიჭები და გამარჯვებებით ახარებენ თავიანთ ქომაგებს.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ქართული წარმოშობის მორაგბეებსაც უთამაშიათ. მის ღირსებას ჯერ მიშელ იაშვილი იცავდა, მერე კი სამფეროვნების ფორმა მისმა შუათანა ვაჟმა დიმიტრი იაშვილმაც მოირგო, რომელმაც იქამდე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოსინჯა ძალები. მიიჩნევა, რომ დიმიტრი მამამისზე დიდი მორაგბე იყო. არცაა გასაკვირი, მიშელის დროს რაგბი სამოყვარულო სპორტი იყო. დიმიტრის კი პროფესიონალიზმის ხანაში მოუწია სარაგბო კარიერამ. მის აქტივში რამდენიმე შესანიშნავი მატჩია ფრანგთა რიგებში. რამდენჯერმე „იაშის“, როგორც მას მოფერებით ეძახდნენ, მრისხანე ინგლისის ნაკრები თითქმის მარტოდ დაუმარცხებია. ის ცხრა ნომრის პოზიციაზე ირჯებოდა და შესანიშნავად თამაშობდა ფეხით.

საფრანგეთის ნაკრები პირველი მსოფლიოს თასის გათამაშებიდან მოყოლებული, რომელიც 1987 წელს გაიმართა, დღემდე ყველა ასპარეზობის ფავორიტია. ისინი რამდენჯერმე იყვნენ ახლოს მიზანთან, თუმცა ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც მათ მსოფლიოს სარაგბო მწვერვალზე აიყვანდა, ყოველთვის უჭირდათ.

ამჟამადაც, მიუხედავად იმისა, რომ „გალისიელმა მამლებმა“ პოზიციები ოდნავ დათმეს, ვფიქრობთ, ისინი მსოფლიოს თასის მოგების მაინც ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. ამ გუნდის პრობლემა მათი მთავარი მწვრთნელი ფილიპ სენტ-ანდრეა, რომელიც ამ თანამდებობაზე ოთხი წლის წინათ დაინიშნა და მაშინაც ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელი სიახლე იყო. სენტ-ანდე მორაგბეობისას კარგი მოთამაშე იყო, თუმცა, როგორც მწვრთნელი, საკლუბო და სანაკრებო დონეზე დიდი ვერაფერი მიღწევებით დაიკვეხნის. მისი თამაშის მანერაც, რასაც ნაკრებს ათამაშებს, სულაც არ არის ფრანგული.

არადა, შემადგენლობას რომ გადავხედოთ, ის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყოს პლანეტაზე. ამ დროს კი მსოფლიოს კლასიფიკაციაში მხოლოდ მე-7 ადგილზეა, რაც ფრანგული რაგბისთვის საამაყო სულაც არ არის. მნიშვნელობა არ აქვს, საფრანგეთის ნაკრები ინგლისში გასამართავ მსოფლიოს თასზე როგორ შედეგს აჩვენებს - სენტ-ანდრე „მამლების“ თავკაცი აღარ იქნება.

ცოტა რამ ისტორიიდან

საფრანგეთში რაგბი 1872 წელს ინგლისელმა ვაჭრებმა და სტუდენტებმა შეიტანეს. საფრანგეთის პირველი ჩემპიონატი 1891 წელს ჩატარდა, რომლის ფინალშიც პარიზული კლუბები „სტად ფრანსე“ და „მეტრო რასინგი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ფინალური მატჩის არბიტრი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი გრაფი პიერ დე კუბერტენი გახლდათ.

პირველი საერთაშორისო მატჩი საფრანგეთის ნაკრებმა 1906 წელს გამართა ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან პარიზში. 1920 და 1924 წლებში „მამლებმა“ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზეს და ორჯერვე აშშ-ს ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ.

1910 წელს საფრანგეთი ხუთი ერის გათამაშებაში ჩაერთო. 1932 წელს კი იქიდან გააძევეს, მორაგბეებს ფულს უხდითო. ფრანგები ევროპულ ელიტას შვიდი წლის შემდეგ დაუბრუნდნენ.

მსოფლიოს თასის გათამაშებებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი 1999 წელს ფრანგებისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების ნახევარფინალური დაპირისპირება იყო. „ლე ბლომ“ მაშინ ტურნირის ფავორიტი დაამარცხა, თუმცა მერე ფინალში ავსტრალიის ნაკრებთან დამარცხდა.

2011 წელს ფრანგებისა და ახალზელანდიელების გზები ფინალში გადაიკვეთა. საკუთარ კედლებში „ოლ ბელქსმა“ მეტოქეს მინიმალური სხვაობით 8:7 სძლია და „ვებ ელისის“ თასს მეორედ დაეუფლა.

საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ 2007 წელს გამართულ მსოფლიოს თასზე ითამაშა და 7:64 დამარცხდა.

ყველაზე დიდი ანგარიშით ფრანგებმა 2007 წელს ნამიბიის ნაკრებს სძლიეს 87:10. ყველაზე დიდი სხვაობით კი იმავე წელს ახალ ზელანდიასთან წააგეს - 10:61.

ფილიპ სენტ-ანდრემ მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად შემდეგ მორაგბეებს უხმო.

საფრანგეთი

შერკინება: უინი ანტონიო, ედ ბენ აროუსი, ხავიერ ჩიოსი, ვენსან დებატი, ნიკოლა მასი. რაბა სლიმანი, ჟილემ ჟირადო. ბენიამინ კაიზერი, დიმიტრი სუარეევსკი, ალექსანდრ ფლანკე, იოან მაესტრი, პასკალ პაპე, სებასტიან ვაჰამაჰინა, ტიერი დუსოტუარი, ბერნარ ლე რუ, იანიკ ნიანგა, ფულჟანს უოდრაოგო, დამიენ შული, ლონ გუჟონი, ლუი პიკამოლი.

უკანა ხაზი: რორი ქოქოთი, მორგან პარა, სებასტიან ტილუს-ბორდი, ფრედერიკ მიშალაკი, რემი ტალესი, ფრანსუა ტრინ-დუკი, მატიო ბასტარო, ალექსანდრ დუმულინი, გაელ ფიოკუ, ვესლი ფოფანა, რემი ლამარა, ბრის დულინი, სოფიანე გუიტუნი, იოან უგე, ნოა ნაკატაჩი, სკოტ სპედინგი.

ბესიკ ჯანგავაძე

● ქიდაობა ჩვენი, ქართული...

800 წლის აღსანიშნავ დღესასწაულზე

არც ერთი სახალხო დღესასწაული არ ჩაივლის ქართული ჭიდაობის გარეშე. გამონაკლისი არც ამ დღეებში დიდი თამარის დროინდელი, ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ხუროთმოძღვრული ძეგლის იყო.

სახელდახელოდ მომზადებულ ნახერხმოყრილ მოედანზე, დუდუკისა და დოლის ხმაზე ბორჯომელ მოჭიდავეებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაერთნენ კურორტზე შეკრებაზე მყოფი მესტიის სასპორტო სკოლის ძიუდოისტები. შეჯიბრება ხუთ წონით კატეგორიაში გაიმართა. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა (ორგანიზატორი) მედლებისა და სიგელების გარდა სამახსოვროდ დაამზადა ჭიქები და კალენდარი ტიმოთესბუნის ტაძრის 800 წლის სიმბოლიკით. აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებულისათვის კი პრიზად დაანესა ჭედილა, რომელიც მესტიელმა **ბექა ფალიანმა** დაიმსახურა.

ბექა ფალიანი: *„სასტუმრო „ოლიმპში“ გავდივართ შეკრებას, აქვე ახლოსაა ბორჯომის სასპორტო სკოლა, როცა გავიგეთ, რომ ტიმოთესუბანში სახალხო დღესასწაულზე ქართული ჭიდაობაც გაიმართებოდა, გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მიგვეღო. ფინალში თანაგუნდელს ვაჯობე და პრიზად ცხვარი მერგო. ცხადია, მესტიაში ვერ წავიყვან და“...*

50 კგ-ში გამარჯვებულმა, 17 წლის ძიუდოისტმა **ვაჟა ბუბუნაურმა** ემოცია ასე გამოხატა: *„მთავარი ის კი არაა, რომ გავიმარჯვე. მთავარია, რვასაუკუნოვანი დიდებული ძეგლი ვნახე, ფეხი დავადგი იქ, სადაც ერთ დროს თამარიც ყოფილა. ამ ტაძრის სიმბოლიკიანი ჯილდოები საამაყო რელიკვიად დამრჩება“.*

სოფიკო ხეთაგაშვილი
ბორჯომიდან

ბექა ფალიანი

ფცაში, ბერუაშვილების მემორიალზე

ფცა(ქარელის რაიონი) საქართველოში ცნობილი ფალავნების მშობლიური სოფელია. აქაურები მეტადრე ბერუაშვილებით ამაყობენ. ამჟამადაც საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას **გელა ბერუაშვილი** უდგას სათავეში. ფცაში ყოველ წელიწადს დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების ხსოვნის მემორიალური ტურნირი იმართება და სეზონის განმავლობაში ეს შეჯიბრება ყოველთვის გამორჩეულად წარმომადგენლობითია. არენაზე, რომელიც ამ სოფელში, არაერთი წლის წინათ, დურმიშხანის ძმის, **სიმონ ბერუაშვილის** მატერიალური ხელშეწყობით აიგო და ტრიბუნებზე ასეულობით მაყურებელს იტევს, ამჯერადაც ბევრი ძლიერი მოჭიდავე და მრავლად მაყურებელი შეიკრიბა. სპორტსმენები ხუთ წონით კატეგორიაში პაექრობდნენ პირველობისათვის.

კვარცხლბეკი

60 კგ.

ნიკა ჭიკაიძე (ახმეტა), 2 .გიორგი ბროლაშვილი (თბილისი), 3. თემო ნოზაძე (ხაშური)

70 კგ.

ზვიად ოდოშაშვილი (კასპი), 2. ვანო თოთლაძე (გორი), 3 ზაზა სიმონიშვილი (ქარელი)

80 კგ.

ზვიად კაპანაძე (ქარელი), 2. ჯაბა ბიწაძე (ლაგოდეხი), 3. იმედა გოგოლაძე (ლაგოდეხი)

90 კგ.

ამბაკო ავალიანი (მესტია), 2. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), 3. გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი)

+ 90 კგ.

ბექა ბერძენიშვილი (კასპი), 2. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 3. ვახტანგ სარაჯიშვილი (ახმეტა)

შეჯიბრება საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის და ქარელის რაიონის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ იყო ორგანიზებული.

ვასილ ბალახაძე

მემორიალი ფცაში

● რაგბი. ოთხთა ტურნირი

ხარები ოთხეულის გამარჯვებულია

საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის ორგანიზებით ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშების დაწყებამდე, რომელსაც ამიერიდან „დიდი 10“ ეწოდება, ოთხეულის ამხანაგური ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრებაში რუსთავი „ხარები“, ბოლნისის „ყოჩები“, თბილისის „ლოკომოტივი“ და თბილისის „აკადემია“ იღებდა მონაწილეობას. ტურნირი სამ ტურად გაიმართა.

პირველ შეხვედრაში, რომელსაც რუსთავის რაგბის სტადიონი მასპინძლობდა, „ხარებმა“ ბოლნისის „ყოჩებს“ 34:26 სძლიეს. 12 აგვისტოს კი ავჭალის სარაგბო სტადიონზე „აკადემია“ 19:8 დაამარცხა.

გადამწყვეტი მატჩი რუსთაველმა მორაგბეებმა „ლოკომოტივთან“ გამართეს და დაძაბულ ბრძოლაში ძლიერ მეტოქესთან 22:17 გაიმარჯვეს. ტურნირის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თასიც სწორედ მათ ერგოთ.

ბესიკ ჯანგავაძე

ჩოგბურთი. ცინცინატის მასტერსი

ბოლო მასტერსი აშშ-ის ღიამდე

ამერიკის ღია პირველობის წინ ბოლო მსხვილი რეპეტიცია იქნება ცინცინატის გაერთიანებული ტურნირი

სულ უფრო ახლოს არის „დიდი სლემის“ ბოლო ტურნირი 2015 წელს. კანადაში დიდი საჩოგბურთო ბატალიების შემდეგ, ჩოგბურთელები ცინცინატის დასაპყრობად მიემგზავრებიან. მამაკაცთა ტურნირი კვლავ „მასტერსის“ სერიისაა, ქალებისა - Premier 5-ის. შესაბამისად, აშშ-ის ამ ქალაქში პრაქტიკულად ყველა უძლიერესი გამოვა. მაგალითად, საქმეში ვიხილავთ **როჯერ ფედერერსა** და **მარია შარაპოვას**, რომლებსაც კანადაში არ უთამაშიათ.

ცინცინატიში ტიტულის გათამაშება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. პირველი ტურნირის ჩატარების თარიღია - 1899 წელი. საგულისხმოა, რომ ტურნირები არ შეწყვეტილა მსოფლიოს მეორე ომის დროსაც. ქალთა ტურნირი 1973 წლიდან 2004 წლამდე, მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. მხოლოდ 2004 წლიდან მოყოლებული, ქალებმა რეგულარულად დაიწყეს თამაში ცინცინატიში.

WTA/Premier

Western & Southern Open

ცინცინატი (აშშ)

საპრიზო ფონდი: $ 2 513 000

საფარი: ჰარდი, ღია კორტები

ჩატარების თარიღი: 17-23 აგვისტო

მონაწილეები: სერენა უილიამსი (1), მარია შარაპოვა (2), სიმონა ჰალეპი (3), პეტრა კვიტოვა (4), კაროლინ ვოზნიაცკი (5), ანა ივანოვიჩი (6), ლუსი საფაროვა (7), კაროლინა პლიშკოვა (8), გარბინ მუგურუსა (9)...

უარი თქვა მონაწილეობაზე: ეკატერინა მაკაროვა (8), სვეტლანა კუზნეცოვა (25).

მოქმედი გამარჯვებული: სერენა უილიამსი.

ბოლო წლებში, ქალთა ტურნირები ცინცინატიში ძალიან სანახაობრივი გამოდიოდა. აქ თითოჯერ გაუმარჯვიათ **სერენა უილიამსს, ვიქტორია აზარენკასა** და **მარია შარაპოვას**. 2008 წლამდე, ტურნირი მხოლოდ მესამე კატეგორიას განეკუთვნებოდა და მაშინ რუსები დომინირებდნენ: **ზვონარევამ, ჩაკვეტაძემ** და **პეტროვამ** ზედიზედ სამჯერ დაიპყრეს ცინცინატი.

ერთი წლის წინათ, სერენა უილიამსმა გადამწყვეტ მატჩში **ანა ივანოვიჩს** სძლია. ყველაზე სანახაობრივ ფინალად, სამართლიანად არის მიჩნეული 2013 წლის შეხვედრა, რომელშიც **ვიქტორია აზარენკამ** უილიამსს გადამწყვეტი ტაი-ბრეიკი მოუგო - 8:6.

ATP/Masters 1000

Western & Southern Open

ცინცინატი (აშშ)

საპრიზო ფონდი: $ 3 826 655

საფარი: ჰარდი, ღია კორტები

ჩატარების თარიღი: 17-23 აგვისტო

მონაწილეები: ნოვაკ ჯოკოვიჩი (1), როჯერ ფედერერი (2), ენდი მარეი (3), კეი ნიშიკორი (4), სტენ ვავრინკა (5), ტომაშ ბერდიხი (6), მარინ ჩილიჩი (7), რაფაელ ნადალი (8), მილოშ რაონიჩი (9), ჟილ სიმონი (10)....

უარი თქვა მონაწილეობაზე: დავიდ ფერერი (8), გილერმო გარსია-ლოპესი (29), ხუან მონაკო (42), ტომი ჰაასი (523).

მოქმედი გამარჯვებული: როჯერ ფედერერი.

ცინცინატის ტურნირი - ერთადერთია, რომელიც საკუთარ კოლექციაში არ აქვს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. სერბს „მასტერსის“ სერიის ყველა ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ ცინცინატიში მუდმივად უიღბლობა სდევს თან. მაგალითად, შარშან, პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელმა **ტომი რობრედოსთან** წააგო. გარდა ამისა, ნოვაკს ოთხჯერ აქვს წაგებული ფინალური მატჩები. ყველაზე ხშირად კი როჯერ ფედერერს მოუგია - ექვსჯერ. სწორედ შვეიცარიელია მოქმედი ჩემპიონი.



შარშან ცინცინატი როჯერ ფედერერმა მოიგო

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცინცინატი. კაცების ბადე



1/8 ფინალის სავარაუდო წყვილები (კაცები)

(თუ განთესილები საწყის წრეებს გაივლიან)

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-გოფენი (გელ, 13)
სიმონი (საფ, 10)-ვავრინკა (შვეიც, 5)
დოლგოპოლოვი (უკრ)-მონფილსი (საფ, 14)
ისნერი (აშშ, 11)-ბერდიხი (ჩეხ, 6)
ჩილიჩი (ხორ, 7)-გასკე (საფ, 12)
დიმიტროვი (ბულ, 16)-მარეი (ბრიტ, 3)
ნადალი (ესპ, 7)-რაონიჩი (კან, 9)
ანდერსონი (ს. აფრ, 15)-ფედერერი (შვეიც, 2)

1/8 ფინალის სავარაუდო წყვილები (ქალები)

(თუ განთესილები საწყის წრეს გაივლიან)

ს. უილიამსი (აშშ, 1)-ერანი (იტა, 16)
ს. ნავარო (ესპ, 10)-ივანოვიჩი (სერ, 6)
კვიტოვა (ჩეხ, 3)-სვიტოლინა (უკრ, 14)
კერბერი (გერ, 11)-საფაროვა (ჩეხ, 7)
ვოზნიაცკი (დან, 5)-მუგურუსა (ესპ, 9)
პეტკოვიჩი (გერ, 15)-ჰალეპი (რუმ, 3)
პლიშკოვა (ჩეხ, 8)-ბაშჩინსკი (შვეიც, 12)
ა. რადვანსკა (პოლ, 13)-შარაპოვა (რუს, 2)



ჩოგბურთი. ტურნირები

ჯოკოვიჩი და მარეი

მარეიმ ნავსი გაჭეხა

მას შემდეგ, რაც **რაფაელ ნადალის** კარიერაში ჩავარდნა დაიწყო, ხოლო **როჯერ ფედერერი** ისე ხშირად აღარ თამაშობს, მამაკაცთა ჩოგბურთში მთავარ დაპირისპირებად იქცა **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ენდი მარეის** მეტოქეობა. წელს, ეს ჩოგბურთელები მეხუთედ გადაეყარნენ ერთმანეთს და სერბმა ყველა მატჩი მოუგო - ავსტრალიის ღიაზე, ინდიან უელსში, მაიამიში და როლან გაროსზე. საერთოდ, ნოვაკს ენდისთან ზედიზედ რვამატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა.

თუმცა, ამჯერად, მარეის შანსებს სოლიდურად აფასებდნენ. ტურნირის მსვლელობისას, ის უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ფინალამდე ბრიტანელმა არც ერთი სეტი არ წააგო, ჯოკოვიჩს კი მეოთხედფინალში **ერნესტ გულბისთან** ორმაგი მატჩბოლის მოგერიებამ მოუწია. იმ მატჩის შემდეგ, სერბმა აღიარა კიდეც - ძალიან გამიმართლაო.

ფინალის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ საქმე მორიგ საჩოგბურთო მარათონთან გვექნებოდა. თავიდან მარეი წინ გაიჭრა, მაგრამ ნოვაკმა გაათანაბრა სიტუაცია - 4:4. ამ რვა გეიმს, მეტოქეებმა ერთი საათი მოანდომეს. და მაინც, პარტიის დასასრული უკეთ ბრიტანელს გამოუვიდა, რომელიც, ობიექტურად, უფრო სტაბილური იყო საწყის პარტიაში.

ნოვაკმა საკმაოდ აქტიურად დაიწყო მეორე სეტი და თავად წაიყვანა ანგარიში ბრეიკით. მაგრამ მსოფლიოს პირველ ჩოგანი სტაბილურობას ვერაფრით ინარჩუნებდა. ენდიმ ისარგებლა მეტოქის ერთ-ერთი მორიგი მინი-ჩავარდნით და ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ, ბრიტანელმა იქვე წარუმატებლად წარმართა მომდევნო გეიმი და ისევ მდევრის როლში აღმოჩნდა. კიდევ ერთი ქამბექი არ შედგა და ნოვაკმა დამაჯერებლად ჩაატარა სეტის ბოლო ნაწილი - 6:4.

ენდისა და ნოვაკს შორის ჩატარებული წინა 27 მატჩიდან, მარეის არასოდეს მოუგია გადამწყვეტი პარტია სამსეტიან ფორმატში. თუმცა, შეხვედრის მესამე საათზე ბრიტანელი უკეთ გამოიყურებოდა. ჯოკოვიჩს ყველა ბურთზე ბრძოლა უწევდა. უმნიშვნელოვანესი გამოდგა მეხუთე გეიმი. იმ დროისთვის, სერბი უკვე აგებდა ბრეიკით. ენდის მოწოდებაზე ბრძოლა 17 წუთი გაგრძელდა. ჯოკოვიჩს ექვსი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ გეიმი მაინც მარეიმ მოიგო. ამასთან, ნოვაკს თითქმის არ ჰქონდა ბრეიკის შანსი, რადგან გადამწყვეტ მომენტებში, ბრიტანელს მოწოდება შველოდა. სწორედ ეს გახდა გადამწყვეტი ფაქტორი, რაც მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმაც აღიარა.

მაგრამ მარეისთან გამარჯვება იოლად მაინც არ მისულა. მან სამი მატჩბოლი ვერ გამოიყენა მიღებაზე. ამას შეეძლო უარყოფითად ემოქმედა ენდის ნერვულ სისტემაზე, მაგრამ იმ დღეს ბრიტანელი მაქსიმალურად მშვიდი იყო. ის არც მაშინ ანერვიულდა, როცა ნოვაკმა ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა. პუბლიკა ყვიროდა და დაძაბული ორთაბრძოლის გაგრძელებას ელოდა. მაგრამ, მარეიმ ისევ ყველა პრობლემა მოწოდებით მოაგვარა. მეხუთე მატჩბოლიდან ენდიმ კარიერაში მე-11 „მასტერსი“ მოიგო - 6:4, 4:6, 6:3. თამაში ზუსტად სამი საათი გაგრძელდა.

დაჯილდოების ცერემონიისას, მარეიმ სასიხარულო ახალი ამბავი გამოაცხადა - დილით მისმა მწვრთნელმა **ამელი მორესმომ** ვაჟი გააჩინა. ენდიმ თავისი გამარჯვება სწორედ ამ მოვლენას მიუძღვნა.

მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა აღიარა, რომ ენდი იმ დღეს უკეთესი იყო. ნოვაკმა პირველად წააგო „მასტერსის“ ტურნირებზე ბოლო ათი თვის განმავლობაში. ამ კვირას, მსოფლიოს პირველ ჩოგანს დამატებითი მოტივაცია ექნება, რადგან ცინცინატის ტიტული ერთადერთია „მასტერსის“ სერიის ტურნირებიდან, რომელიც მას არასოდეს მოუგია.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მონრეალის ტურნირის შემდეგ, ენდი მარეიმ ფედერერს გაუსწრო და მსოფლიოს მეორე ჩოგანი გახდა.

ფინალი

ენდი მარეი (ბრიტ, 2)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:4, 4:6, 6:3.

ბელინდა ბენჩიჩი

ჰინგისის ნაკვალევზე

1999 წელს, კანადური ტურნირის ფინალში, 18 წლის **მარტინა ჰინგისმა მონიკა სელეში** დაამარცხა. 16 წლის შემდეგ, გადამწყვეტ მატჩში ისევ თამაშობდა 18 წლის შვეიცარიელი - **ბელინდა ბენჩიჩი**. მისი კავშირი მარტინასთან - არა მხოლოდ ასაკი და მოქალაქეობაა. ბელინდა ჰინგისის დედის აკადემიის აღზრდილია და იქ დღემდე ვარჯიშობს. თავად მარტინა, რომელიც აქტიურ მოთამაშედ რჩება წყვილთა თანრიგში, ბელინდას გუნდში კონსულტანტის როლს ასრულებს.

ნახევარფინალში ბენჩიჩმა თავის კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა - **სერენა უილიამსი** დაამარცხა. მართალია, მსოფლიოს პირველ ჩოგანს თავისი საუკეთესო თამაში არ უჩვენებია, მაგრამ ბელინდას ფინალში გასვლას შემთხვევითობას ვერ ვუწოდებთ. ტურნირზე მისი ყველა მეტოქე - „დიდი სლემის“ ყოფილი ფინალისტები იყვნენ: **ბუშარი, ლისიცკი, ვოზნიაცკი, ივანოვიჩი** და უილიამსი.

რთული გზა ჰქონდა ფინალამდე **სიმონა ჰალეპსაც**. ისიც მხოლოდ TOP25-ის წევრების წინააღმდეგ თამაშობდა - **იანკოვიჩი, კერბერი, რადვანსკა** და **ერანი**. ორი წლის წინ, რუმინელს თავად ჰქონდა გარღვევა WTA-ის ტურში, ახლა კი მსოფლიოს მესამე ჩოგანია და გამოცდილება მის მხარეს იყო. საინტერესოა, რომ ჰალეპი არ აპირებდა ტორონტოში გამოსვლას და განაცხადი არ შეუტანია. საბოლოოდ, მას უაილდ-ქარდი მისცეს. სიმონას ადრე არ ჰქონდა კარგი გამოსვლები კანადაში - მისი საუკეთესო შედეგი მეორე წრე იყო.

თავდაპირველად, ორივე ჩოგბურთელი ნერვიულობდა. ისინი ცუდად აწვდიდნენ, სამაგიეროდ, ეფექტურად მოქმედებდნენ მიღებაზე. შედეგად, პირველ ხუთ გეიმში ბრეიკი დაფიქსირდა. ეს სერია ბენჩიჩმა შეწყვიტა, მაგრამ მალე მას ჩავარდნა დაეწყო - ზედიზედ სამი გეიმი წააგო. შვეიცარიელმა კორტზე მამას უხმო და მასთან საუბარი სასარგებლო გამოდგა. თამაში გათანაბრდა და ზუსტად ერთი საათი ბრძოლის შემდეგ, ჩოგბურთელები ტაი-ბრეიკამდე მივიდნენ. თანაბარი ბრძოლის შემდეგ, 5:5-ზე ბელინდამ ზედიზედ ორი ბურთი აიღო და სეტი მოიგო - 7:6(5).

მეორე პარტიის სტარტზე ჰალეპს აშკარად ეტყობოდა, რომ კორტზე გაჭირვებით გადაადგილდებოდა. ამიტომაც, ხუთი გეიმის შემდეგ, მეორე სამედიცინო ტაიმ-აუტის აღებამ მოუწია. ხოლო, როცა მეექვსე გეიმში ბენჩიჩმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში, ყველას ეგონა, რომ ფინალი მალე დასრულდებოდა. მაგრამ, სიმონამ კიდევ ერთი საათი იბრძოლა.

რუმინელმა უკანა ხაზზე გრძელ გათამაშებებს თავი დაანება და შეტევაზე გადავიდა. მას მეტოქეც დაეხმარა, რომელმაც თამაში დაკარგა. მიუხედავად ამისა, შვეიცარიელს უპირატესობა ჰქონდა - 5:3. მატჩზე ჩასაწოდებელი გეიმი მან ნულზე დათმო, ამას კიდევ ორი წაგებული გეიმი მოჰყვა. სეტზე ვერც ჰალეპმა ჩააწოდა და მეორე ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა შესანიშნავად წარმართა მე-13 გეიმი და დამსახურებულად მოიგო მეორე სეტი.

მესამე სეტის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ რუმინელს გადამწყვეტი პარტიისთვის ძალა აღარ ჰქონდა. სიმონას აღარაფერი გამოსდიოდა. მან იბრძოლა მესამე გეიმში, მოიგერია სამი ბრეიკ-პოინტი, მაგრამ ორი ზუსტი დარტყმით, ბელინდამ ზედიზედ მესამე გეიმი აიღო. შესვენებაზე ჰალეპმა მსაჯს გამოუცხადა, რომ ვერ შეძლებდა მატჩის დამთავრებას.

ბენჩიჩმა ფენომენალური ტურნირი ჩაატარა და ორშაბათიდან, რეიტინგის მე-12 ნომერი გახდა. მან TOP10-ის ოთხი მოთამაშე დაამარცხა. ბოლო 20 წლის განმავლობაში, ასეთი რამ მხოლოდ ოთხმა ჩოგბურთელმა შეძლო: **მერი პირსმა** (1995, ავსტრალიის ღია), **ანა კურნიკოვამ** (1998, მაიამი), **კიმ კლაისტერსმა** (2005, მაიამი) და **ნა ლიმ** (2011, როლან გაროსი).

ფინალი

ბელინდა ბენჩიჩი (შვეიც)-სიმონა ჰალეპი (რუმ, 2) 7:6(5), 6:7(4), 3:0 უარი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ლივერპული-ბორნმუთი	1:0

იტალიის თასი

III რაუნდი

კიევო-სალერნიტანა	0:1
მილანი-პერუჯა	2:0

ესპანეთი

სუპერთასი. II მატჩი

ბარსელონა-ბილბაო	1:1 (0:4)

გერმანია

II ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-მიუნხენი	2:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

მეცი-ვალანსი	2:0

პოლანდია

II დივიზიონი

აიაქსი II-ჰელმონდი	1:1

პორტუგალია

ფერეირა-აკადემიკა	1:0

ამხანაგური მატჩი

დინამო (დრ)-ბაიერნი	1:3

დანია

სონდერიისკი-ჰობრო	3:0

ნორვეგია

II დივიზიონი

კრისტიანსუდი-სანდნესი	3:1
სიოგნდალი-ბრანი	0:0

შვედეთი

ფალკენბერგსი-ჰამარბიუ	0:1
ჰელსინგბორგი-ჰალმსტადსი	2:0
ატვიდაბერგი-ნორჩოპინგი	1:1

II დივიზიონი

დეგერფორსი-ოსტერსუნდსი	0:0

ფინეთი

ჰიფკ-როვანიემი	1:1

თურქეთი

გენჩლერი-რიზე	2:3

II დივიზიონი

მალათია-1461 ტრაბზონი	0:1

ირლანდია

შემროკი-კორკი	3:0
ბრეი-ბოჰემიანსი	3:1
დანდალკი-სტ. პატსი	4:1
გალვეი-დროგედა	1:1
ლიმერიკი-ლონგფორდი	3:3
სლიგო-დერი	1:0

II დივიზიონი

უნივერსიტი-ეთლონი	3:1

ისლანდია

ბრეიდაბლიკი-აკრანესი	3:1
ფიულკირი-კეფრავიკი	3:3
ვიკინგური-ლეიკნირი	1:1
ჰაფნარი-სტიარნანი	4:0

რუსეთი

მორდოვია-უფა	0:1

II დივიზიონი

ლუჩ-ენერგია-სპარტაკი II	1:1
სკა ენერგია-კამაზ	4:0
ბაიკალი-ენისეი	1:0
ტომი-ტორპედო (ა)	4:0
გაზოვიკი-ტოსნო	3:1
ტიუმენი-ფაკელი	1:2
შინიკი-არსენალი (ტ)	0:4
სოკოლი-ბალტიკა	1:1
ვოლგა (ნ-ნ)-სიბირი	2:1
ვოლგარი-ზენიტი II	0:3

პოლონეთი

პოდბესკიძიე-პოგონი	2:3

ხორვატია

ოსიეკი-ლოკომოტივა	0:1

სლოვენია

სელიე-ზავრცი	2:1

რუმინეთი

ვიიტორული-კონკორდია	3:1
პანდური-კლუჟი	1:1

ბულგარეთი

ბეროე-ჩერნო მორე	1:1

ბელარუსი

სლავია-ტორპედო	1:2

ესტონეთი

ფლორა-ტულევიკი	4:1

ბოსნია

ოლიმპიკი-სლავია	2:3

ჩილე

უნ. კონსეპსიონი-პალესტინო	1:0

აზერბაიჯანი

ინტერი-ნეფთჩი	1:0

კალათბურთი

ამხანაგური მატჩი

ლიტვა-თურქეთი	86:74

ჩოგბურთი

ATP. ცინცინატი

ბელუჩი-ვესელი	7:6, 6:2
სიმონი-**კარლოვიჩი**	4:6, 7:6, 3:6
სოუზა-კოლშრაიბერი	6:2, 6:7, 6:2
ტროიცკი-**ფიში**	2:6, 2:6
მანარინო-**სეპი**	3:6, 3:6
პოსპიშილი-კუდლა	6:4, 6:3
სტახოვსკი-**ტომიჩი**	4:6, 3:6
მიულერი-**პერი**	6:7, 6:7

WTA. ცინცინატი

ბრენგლი-**იანკოვიჩი**	6:4, 4:6, 2:6
კნაპი-კონიუხი	7:5, 6:1
ვანდეეგე-პუტინცევა	6:3, 6:2
დიასი-**ვ. უილიამსი**	6:7, 4:6

კალათბურთი. ინტერვიუ სტივ ნეშთან

იცოდეთ საკუთარი თავის ფასი!

კანადური კალათბურთის ლეგენდა სტივ ნეში საუბრობს თავის ფონდზე, დღის ახალ განრიგზე, შვილებზე, ფეხბურთით გატაცებაზე, რჩევებზე, რომლებსაც ახალბედებს მისცემდა...

- საიდან დაიბადა საკუთარი ფონდის შექმნის იდეა?

- ყველაფერში „დამნაშავენი" ჩემი მშობლები არიან. ისინი ბავშვობიდან მეუბნებოდნენ, რომ რთულ დროში ვცხოვრობთ, საზოგადოებაში არსებობს კლასობრივი უთანასწორობა და ბევრ ადამიანს ნაკლებად გაუმართლა, ვიდრე ჩვენ. სწორედ ამ სიტყვებმა დაუდეს სათავე ამ იდეას. როცა პროფესიონალი კალათბურთელი გავხდი და დიდი შემოსავალი გამიჩნდა, მივხვდი: ვალდებული ვიყავი დავხმარებოდი მათ, ვისაც ეს სჭირდებოდა.

- და ამით, კიდევ უფრო გაზრდილიყო სტივ ნეშის პოპულარობა?

- სინამდვილეში, დიდად არ ვფიქრობ პოპულარობაზე. სიამოვნებას ვიღებ იმისგან, რასაც დღეს ვაკეთებ. მოხარული ვარ, რომ მაქვს საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის წყალობითაც ვეხმარები ადამიანებს და ვაგვარებ მათ პრობლემებს. აკეთე კარგი საქმეები, გააერთიანე ადამიანები და იყავი გუნდის ნაწილი იმისთვის, რომ მსოფლიო უკეთესი გახდეს. პატიოსნად გეტყვით: პოპულარობა არ არის ის, რაც მოტივაციას მაძლევს. რა თქმა უნდა, ბოლომდე მასზე უარს არ ვამბობ, მაგრამ არც დიდ ენერგიას ვხარჯავ ამისთვის.

- შეგიძლიათ რაიმე უჩვეულო მოგვიყვეთ იმ სამუშაოზე, რასაც დღეს აკეთებთ?

- მოკლედ თუ ვიტყვი, თავს შესანიშნავად ვგრძნობ. პენსიაში გასვლა - კარგი მასწავლებელი ყოფილა. გამიჩნდა შესაძლებლობა, სხვა საქმე ვაკეთო, გავიცნო საინტერესო ადამიანები, მშვიდად გავერკვიო ისეთ საკითხებში, რაზეც ადრე დრო არ მყოფნიდა. ეს მართლაც რთულია, მაგრამ ძალიან საინტერესო. სწორედ ეს არის ის პროცესი, რომელშიც დღეს უშუალო მონაწილეობას ვიღებ.

- გამოდის, რომ ადრე ერთი აზრით იღვიძებდით, რამაც ადამიანად ჩამოგაყალიბათ, ახლა კი ეს აზრი აღარ არის თქვენს გონებაში?

- ნაწილობრივ. აზრი იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს. ლაპარაკია არა მხოლოდ მიზნებზე, არამედ პიროვნებაზე მთლიანად. რთულია გაიარო ეს ყველაფერი. იმედია, შევძლებ საკუთარ თავში სხვა პოტენციალის აღმოჩენას. და შევძლებ გავხდე სხვა ცხოვრებაში ისეთივე ბედნიერი და არანაკლებ დატვირთული, ვიდრე კალათბურთში ვიყავი.

- ეს ღია კოსმოსში გასვლას ჰგავს. ალბათ, საშიში უნდა იყოს...

- ოდნავ. ჩემს ცხოვრებაში უზარმაზარი ხვრელია, რომელიც უნდა შევავსო. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არ არის - თუ როგორ ივსება ის, არამედ ის, რომ გქონდეს მიზანი და პროდუქტიულად იარო მისი რეალიზაციისკენ. არ გრძნობდე მოთხოვნილებას შეუსრულებელ საქმეებზე. რაც არ უნდა იყოს, ყველაფერს ნულიდან იწყებ.

- როგორ შეიცვალა თქვენი ყოველდღიური ცხოვრება მას შემდეგ, რაც კალათბურთიდან წახვედით?

- ძალიან არა. თუმცა ყოველდღიური დილის ვარჯიშები აღარ არის ვალდებულება და ხანდახან ეს მახარებს. სამაგიეროდ, გაჩნდა სხვა ვალდებულებები და შეწუხების სხვა საბაბი. თავდაპირველად, შვილები სკოლაში მიმყავს, შემდეგ დარბაზში ვვარჯიშობ, ამას მოსდევს დრო შეხვედრებისთვის და სატელეფონო ზარებისთვის, რაც ჩვენს ოჯახურ ბიზნესს ან ფონდის საქმეებს უკავშირდება. ყველაფერთან ერთად, არ ვივიწყებ კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერის ფუნქციებს. ასე რომ, არც ისე ბევრი თავისუფალი დრო მაქვს, როგორც ვისურვებდი.

- დღეს რა გიტაცებთ ყველაზე მეტად, რომ მასში მთელი თქვენი ენერგია ჩადოთ?

- პირველ რიგში, ჩემი შვილები. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არ მინდა, რომ მწვრთნელი გავხდე. ვცდილობ, უფრო პასუხისმგებელი ვიყო ჩემი გრაფიკის მხრივ და მოვასწრო ბავშვებთან ყოფნა.

- თქვენ 10 წლის ტყუპი ქალიშვილები და 4 წლის ვაჟი გყავთ. ისინი კალათბურთს თამაშობენ?

- ჯერ არა. ჯერ არ მიმიღია მათ მომავალთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. ადრეულ ასაკში ფეხბურთი გაცილებით პოპულარულია. ჩვეულებრივ, კალათბურთით გაცილებით გვიანდელ ასაკში ინტერესდებიან, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში იყო. ვნახოთ, რას მოინდომებენ ბავშვები. მათი აზრი ასევე მნიშვნელოვანია.

- სერიოზულად დაფიქრებულხართ იმაზე, როგორ აეწყობოდა თქვენი კარიერა, თავის დროზე ფეხბურთს რომ გაყოლოდით?

- არა. მაგრამ მიმაჩნია, რომ გარკვეულ წარმატებებს მივაღწევდი, რადგან აღნაგობა მიწყობდა ხელს, მტკიცე ხასიათი მქონდა და მოედანს კარგად ვხედავდი.

- დღემდე თამაშობთ ფეხბურთს?

- დიახ, კვირაში ერთხელ აუცილებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. იცით რატომ? ეს ერთადერთია, სადაც ყველაფერი შემიძლია დავივიწყო და არაფერზე ვიფიქრო.

- კობი ბრაიანტთან ერთად ფეხბურთი გითამაშიათ?

- არა. არც კი მინახავს, ბურთთან როგორ არის, როგორი დარტყმა აქვს. არაფრის თქმა არ შემიძლია.

- წარმოიდგინეთ, რომ საფეხბურთო კლუბს ქმნით და მასში აუცილებლად უნდა შეიყვანოთ NBA-ის სამი მოთამაშე. არჩევანს ვისზე შეაჩერებდით?

- ჩემს მეგობარ ლეონარდო ბარბოზაზე. მაქვს წინათგრძნობა, რომ მეორე იქნებოდა ლუოლ დენგი. მართალია, ის საქმეში არ მინახავს, მაგრამ ვიცი: ლონდონში იზრდებოდა და საკმაოდ ბევრს თამაშობდა ფეხბურთს. ორი წლის წინათ, ჟოაკიმ ნოასთან და მარკო ბელინელისთან ერთად ვთამაშობდი. კარგად გამოსდით და სიამოვნებით ავიყვანდი ორივეს.

- NBA-ში ყველაზე მეტად რა გენატრებათ?

- საკუთარი პარტნიორები. ხუმრობები, მგზავრობები, ვარჯიშები - ყველაფერი, რასაც ერთად ვაკეთებდით. ყველაზე კარგად ეს მახსოვს და ყველაზე მეტად მენატრება.

- რას ეტყოდით იმ ბიჭებს, რომლებიც მხოლოდ ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს?

- არ არსებობს ისეთი გზა, რომელსაც მონდომების შემთხვევაში ვერ გადალახავ. აუცილებელია მძიმე მუშაობა, თუ გსურთ რაღაცას მიაღწიოთ. და იფიქროთ მომავალზე იქამდე, სანამ ის დადგება. და კიდევ დავამატებ: იყავით ის, ვინც ხართ, შეგეძლოთ საკუთარ შეცდომებზე სიცილი, არ შეგეშინდეთ მარცხის და, რა თქმა უნდა, იცოდეთ საკუთარი თავის ფასი!



სტივ ნეში

ტონი პარკერი

საფრანგეთის საბოლოო

უკრაინასთან ამხანაგური მატჩის შემდეგ, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** 2015 წლის ევრობასკეტისთვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. განაცხადში ადგილი არ მოინახა მცველებისთვის - **ტომას ერტელისთვის**, **ფაბიენ კაზერისთვის** და **შარლ კაუდისთვის**, აგრეთვე ცენტრ **მუჰამედ ჟეტესთვის**.

ევროპის მოქმედი ჩემპიონის საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მცველები - ტონი პარკერი (სან ანტონიო, NBA), ევან ფურნიე (ორლანდო, NBA), ნანდო დე კოლო (ცსკა, რუსეთი), ანტუან დიო (სტრასბური);

ფორვარდები - ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი, NBA), ბორის დიაო (სან ანტონიო, NBA), კიმ ტილი (კახა ლაბორალი, ესპანეთი), მიკაელ ჟელაბალი (ლიმოჟი), ფლორან პიეტრუსი (ნანსი);

ცენტრები: რუდი გობერი (იუტა, NBA), ალექსის აჟინკა (ნიუ ორლეანი, NBA), ჟოფრეი ლოვრენი (დენვერი, NBA).

ფრანგები ჯგუფური ეტაპის მატჩებს მონპელიეში ჩაატარებენ. მათი მეტოქეები იქნებიან: ბოსნია, ისრაელი, პოლონეთი, რუსეთი და ფინეთი. პირველ შეხვედრას მასპინძლები 5 სექტემბერს, ფინეთის წინააღმდეგ გამართავენ.

რაც შეეხება უკრაინასთან ამხანაგურ მატჩს, საფრანგეთმა 95:63 (29:16, 23:19, 18:17, 25:11) მოიგო.

საფრანგეთი: პარკერი (19+8 მოხსნა), დე კოლო (14+7 მოხსნა), ბატუმი (4), დიაო, გობერი (14+8 მოხსნა) - სასტარტო; დიო (8+6 ჩაჭრა), ლოვრენი (4), კაუდი (6), ფურნიე (10), პიეტრუსი, აჟინკა (3), ჟელაბალი (5), ჟეტე (8).

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ორი ლიდერი შვიდი ეტაპით ადრე

მოტოგრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატზე უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში: **ხორხე ლორენსომ** ბრნოში ჩეხეთის გრან-პრი მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში გაუთანაბრდა „იამაჰაში" თავის თანაგუნდელს **ვალენტინო როსის**. ეს ყველაფერი ხდება ჩემპიონატის დამთავრებამდე შვიდი ეტაპით ადრე.

ჩეხეთის გრან-პრის ლორენსო პოულიდან იწყებდა. ესპანელს შესანიშნავი სტარტი ჰქონდა, მთელი რბოლის განმავლობაში ლიდერობდა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. „ჰონდას" ლიდერი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **მარკ მარკესი** რბოლის პირველი ნახევარი საბურავზე ავჯდა ლორენსოს, მაგრამ შემდეგ ტემპი დააგდო და ჩამორჩა. საბოლოოდ, მარკესმა ხუთი წამი წააგო გამარჯვებულთან. მესამე ადგილი როსის დარჩა. ლეგენდას არც ისე წარმატებული დასაწყისი ჰქონდა: პირველი წრის შემდეგ, მესამედან მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა. მართალია, რამდენიმე წრის შემდეგ დაეწია ლორენსოსა და მარკესს, მაგრამ ლიდერების გასწრება ვეღარ მოახერხა.

ლორენსოს გამარჯვება იმას ნიშნავდა, რომ 2010 წლის შემდეგ პირველად, ბრნოში ვერ გაიმარჯვა „ჰონდას" პილოტმა.

11 ეტაპის შემდეგ, ლორენსო საერთო ჩათვლის ლიდერი გახდა. მას და როსის ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ, მაგრამ მეტი მოგებების წყალობით (5:3), პირველ ადგილზე ესპანელი იმყოფება.

ჩეხეთის გრან-პრი

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 42.53,042; 2. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - +4,462; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +10,397; 4. **ანდრეა იანონე** (იტა, Ducati) - +13,071; 5. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +15,650; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +15,725; 7. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha Tech 3) - +21,821; 8. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - +23,240...

საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 211; 2. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 211; 3. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 159; 4. **ანდრეა იანონე** (იტა, Ducati) - 142; 5. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha Tech 3) - 106; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 104; 7. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 91; 8. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - 81...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**

მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**